წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. შაბათი, 12 მარტი 1916 წ. № 57

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი განცხადება პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., ტექსტის გარეშე მიღებულ განცხადაბათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.

გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

კვირას, 13 მარტს ჩუღურეთის მწ. ნიკოლოზის ეკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი,

სოფიო გიორგის ასულის
ხარაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მისი შვილი **ილია მიხეილის ძე ხარაშვილი შვილებით და აბრამ ილიას ძე ტურიაშვილი.**

გულდამწვარნი მამიდები მარუსა ზედგინიძისა და პაპასი შუბაშვილისა აუწყებენ ნათესავთ და მახლობლებს, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ დაკარგულ

„მაგდლენას“

სულის მოსახსენებლად დანიშნულია ქ. ფოთში ნახუტურის სასოფლოს ეკლესიაზე კვირას 13 მარტს.

(1—124—1)

ქ. ბაქოში
ღვინით ვაჭრობა
„მელაანი“
თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

შეშის საწყობი
ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასში

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საგალანტერიო მაღაზია
ერ. ივ. ჭავჭანიძისა და
ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:

ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

საუკეთესო კახური
ღვინის საწყობი
ადამ ზურაბის ძის
ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

სასტუმრო „ავრორა“

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.

უაღრესი სისუფთავე. ელექტრონის განათება

ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად

ნომრები ყველასათვის ხელმისაწდომ ფასებშია.

თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.

სასტუმროსთან მოწყობილია
სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.

(წ.—)

კვირას, 13 მარტს,

საბურთალოს აუდიტორიაში მოხდება

არაჩვეულებრივი კრება

საბურთალოს ქართულ წარმოდგენების მმართველი წრისა.

განსახილველი საგნები: 1) არჩევნები ქართულ კულტურულ საზოგადოების კავშირში გასაგზავნ წარმომადგენლებისა, 2) გამგეობის წევრთა დამატებითი არჩევნები და სხვა მორიგი საკითხები.

(1—125—1) **გამგეობა.**

განცხადება

იმ ხელშეკრულობის ძალით, რომელიც 1916 წ. 24 თებერვალს დაიდო **ამიერ კავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტსა და ინჟენერ ივანე სერგეის ძე პონდოევის შორის,** მისი საწყობიდან, რომელიც მოთავსებულია თბილისში ელისაბედის ქუჩაზე № 127 და 164, იძლევიან თავდაცვისათვის საჭირო ყოველგვარ რკინეულობას და სხვა საამშენებლო მასალას პირობის წერილში განსაზღვრულის ნიხრით.

ყოველგვარ ცნობებისა და მასალის მისაღებად უნდა მიჰმართონ სამხ. სამრ. კომიტეტის სამექანიკო განყოფილების კანტორას, ელისაბედის ქუჩა № 184

(10—120—5)

ქართული კლუბის დარბაზში

სემინარიის ქართველ მგალობელთა გუნდისაგან

კვირას, 13 მარტს, 1916 წ.

ამავე სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ ი. კარგარეთლის ხელმძღვანელობით გამართება

სასულიერო კონცერტი

ბილეთების ფასი 50 კ.—2 მ. 20 კ. იყიდება ქართულ კლუბში.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. (0)

(პარკი) „ქისეტი“ (პარკი)

სააღდგომო საჩუქარი კავკ. ჯარის მეომრებისათვის.

კავკასიის არმიის მთავარ-სარდლის უავგუსტოესმა მეუღლემ

მისმა იმპერატორობითი უმაღლესობამ, დიდი მთავრის

ნიკოლოზის ასულმა ანასტასიამ

იკისრა მზრუნველობა სააღდგომო საჩუქრების „ქისეტების“ დასამზადებლად და გასაგზავნად კავკასიის არმიის მხნე ჯარის-კაცებისათვის.

კავკასიის მკვიდრთ, რომელთაც უყვართ თავისი ჯარი და ამაყობენ მისი სახელო გამარჯვებით, მოუწოდებენ, გამოიღონ წვლილი ამ კეთილი საქმის მოსაწყობად.

ქრისტეს აღდგომის ბედნიერ დღეს ჩვენს გმირს—მეომრებს დიდად გაახარებს სამშობლოდან მიღებული მისალოცი, როგორც ნიშანი სიყვარულისა და მზრუნველობისა.

ნურავინ მოერიდება შემოწირულობის სიცოტავეს. ყოველს შემოწირულებას, სულ მცირესაც დიდის მადლობით მიიღებენ.

შემოწირულებად მიიღება: ცხვირსახოცები, ყარანდაშები, ფოსტისა და პაპიროზის ქაღალდი, თამბაქო, წუმწუმა, შაქარ-ყინული და სხვა ტკბილეულობა.

შემომწირველთ სთხოვენ: ქისეტში მოათავსონ ყარანდაში, ცხვირსახოცი, 5 ფურც. ფოსტის ქაღალდი, 5 კონვერტი, ¼ გირვ. თამბაქო, 2 პაპიროსის ქაღალდი, კოლოფი წუმწუმა და ¼ გირ. შაქარ-ყინული.

ყოველგვარს შემოწირულებას მისი იმპერატორობითი უმაღლესობის დიდი მთავრის, **ანასტასია ნიკოლოზის ასულის** მინდობილობით მიიღებს ყოველ დღე 2—4 საათ. გენერალ-ლეიტენანტი **სტალი,** ერმოლოვის ქუჩა, № 9. ამავე ადრესით უნდა გამოიგზავნოს ფოსტითაც.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ექიმი მ. გ. ვეფხაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

20—67—4

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ომის ამბები

ომის დეპეშები

პარიზი, 9 მარტი. დღისით მოსული ცნობა. მდ. მაასის დასავლეთით მეტად მკვირცხლი საარტილერიო სროლაა მალანკურისა და ენის რაიონში „304“ მაღლობთან, განსაკუთრებით გორაკ ოკურთან. მაასის მარჯვენა ნაპირზე მძაფრი სროლაა ვოდოლმუს რაიონში. ქვეითი ჯარს იერიშები არ მოუტანია მთელს ღამის განმავლობაში. დანარჩენს ფრონტზე სიწყნარეა.

პარიზი, 9 მარტი. საღამოთი მოსული ცნობა. ენის ჩრდილოეთით ზარბაზნები დავუშინეთ ვილ-ო-ბუას სექტორს. არგონებში ფურდეპარის ჩრდილოეთით გერმანელთა სიმაგრეებს ცეცხლი გავუჩინეთ. ოტშევოშესა და „285“ მაღლობის შუა ჩვენდა სასარგებლოდ მიდიოდა ბრძოლა. განსაკუთრებით ძლიერი სროლა იყო მალანკურის ტყეში. მდ. მაასის მარცხენა ნაპირზე ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ, რამაც მთელ დღეს გასტანა, გერმანელებმა რამდეჯერმე იერიში მოიტანეს მთელს ფრონტზე ავოკურის ტყისა და სოფ. მალანკურის შუა. ყოველი მათი ცდა, რომ ავოკურის ტყიდან გამოსულიყვნენ, ამაოდ დარჩა. მათ მხოლოდ გორაკ ოკურის დაჭერა მოახერხეს, რომელიც დაახლოვებით ერთი კილომეტრითაა დაშორებული მალანკურიდან სამხრეთ-დასავლეთით. მდ. მაასის აღმოსავლეთით მძაფრი საარტილერიო სროლა არ შეწტყვეტილა დუომონის რაიონისა და ვოს შუა.

რომი, 9 მარტი. ღამით 8 მარტს მტრის ქვეითი რაზმი მოულოდნელად დაეცა ჩვენს პოზიციებს რიბოსთან, დაონეს ღელეში, ასეთივე იერიშები მოიტანეს გრუსტაში, ეჩთან, ტერანიოლოს ღელეში, რავნილაცში და სხვაგან, მაგრამ ყოველგან მოგერებულ იქმნა. ღამით სენტა მარიას მაღლობებზე ტოლმინოს რაიონში იერიშით წამოვიდნენ ავსტრიელები, მაგრამ აქაც უკუგდებულ იქმნენ. მთელი დღის განმავლობაში მთელს ფრონტზე საარტილერიო სროლა არ შეწყვეტილა, თუმცა არტილერიის მოქმედებას ფრიად აფერხებდა უამინდობა.

ისპაჰანი, 8 მარტი. რუსთა ჯარები 6 მარტს, ორი საათის ბრძოლის შემდეგ შევიდნენ ისპაჰანში. ბახტიარი სერდარ-დოულეტი, პოზიციებიდან უკუგდებულ იქმნა და დიდად დაზარალდა. გატანჯული ხალხი აღტაცებით შეეგება ძლევა მოსილ მხედრობას. წინად ქალაქიდან გაქცეულნი ადგილობრივი გენერალ-გუბერნატორი და სხვა თანამდებობის წარმომადგენელნი დიდის ამბით შევიდნენ ქალაქში.

ჰავრი, 9 მარტი. ბელგეთით მოსული ცნობა. საარტილერიო სროლამ მთელს ფრონტზე მძაფრი ხასიათი მიიღო, განსაკუთრებით სტეენსტრეტესთან.

* * *

ჟურნალ-გაზეთებიდან

ვერდენი.

7 მარტს ერთი თვე შესრულდა, რაც ვერდენის მიდამოებში ბრძოლა გაჩაღდა. ამის გამო კ. შუმსკი სწერს:

ერთი თვეა, რაც კრონპრინცის ჯარი ვერდენთან 25—35 ვერსის მანძილზე იბრძვის. თუ ეს ბრძოლა ალყის შემოსარტყმელად სწარმოებს, რა თქმა უნდა კიდევ არ არის დიდი დრო, ხოლო თუ ვერდენის აღება იერიშებით ჰქონდათ განზრახული, მაშინ ეს დრო მეტისმეტად დიდია.

მთელი თვე იერიშები მიაქვთ გერმანელებს, თითქოს გარს ერტყმიან და ვერდენის სიმაგრეთა ფარგალში მხოლოდ რკალის ¾ ნაწილი უჭირავთ. ფრანგებს თავისუფალი გზა აქვთ დატოვებული ჯარების გადაყვან-გადმოყვანისათვის და ზურგიც გამაგრებული აქვთ.

ვერდენის წინაამდეგ გერმანელები ზედმისევით კი არ მოქმედობენ, არამედ „თანდათანობითის იერიშით“, თუმცა იერიში თავისთავად სწრაფს მოქმედებას გულისხმობს.

შუმსკის აზრით, გერმანელები ვერდენის აღებას მაინც ვერ მოახერხებენ და ხელში შერჩებათ მხოლოდ ის 5—6 ვერსის მანძილი, რაც ვერდენის გარშემო დაიპყრეს.

„ბ. ვედ.“-ის ცნობით, ვერდენთან ბრძოლის დაცხრომა ან გერმანელების დასუსტების მომასწავებელია, ან კიდევ იმისი, რომ გერმანელები ბრძოლის სხვა ხაზზე ამზადებენ შეტევას.

რიბოს აზრი.

საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა რიბომ დეპუტატთა პალატაში, განაცხადა: გადამწყვეტი დღე დადგა: მთელი ქვეყნის თვალი ვერდენისკენ არის მიპყრობილი. გერმანელების გააფთრებული იერიშები ჰმოწმობს, თუ რა თავშეუკავებლის მოუთმენლობით ესწრაფიან ვერდენთან გამარჯვებას, თუმცა ჯერ უმნიშვნელო რამ შედეგს მიაღწიეს. ჩვენი შთამომავლობა სამშობლოს ისტორიაში უდიდეს მოვლენად ჩასთვლის ვერდენის დაცვას. დღეს შეგვიძლიან უყოყმანოთ განვაცხადოთ, რომ ომის დასასრული მოახლოვდა.

კიდევ მაქსიმლიან გარდენი.

მაქსიმლიან გარდენი კვლავ სცენაზე გამოვიდა და მეტოქე სახელმწიფოებს აფრთხილებს, ვიდრე დრო არის, გონს მოდით და ზავზე დაგვთანხმდითო. მით უმეტეს ამას ურჩევს საფრანგეთს, შემდეგი ბრძოლა სრულიად უნაყოფოა თქვენთვის, ვიდრე „ჯერ კიდევ გვიან არ არის“ უბედურებას ნუ შეგვამთხვევინებთო. გარდენს არა სწამს, რომ მოკავშირე სახელმწიფონი ოდესმე მაინც შესძლებენ ყველა ფრონტზე ერთსულოვან შემოტევას. თუნდაც ეს მოახერხონ და გერმანეთს საგრძნობელი მარცხი მიაყენონ, მაინც ისეც ვერ გაიმარჯვებენ, რომ ზავის პირობები უკარნახონ. „სამაგიეროდ არის მეორე შესაძლებლობა; განაგრძობს გარდენი,—გერმანეთის სრული გამარჯვება. ჩვენი იერიშების წინ აღარა დგება რა, არც ქვისა და არც ცოცხალი ძალის კედელი. გერმანელები ფრანგებს სენაზე მივჰყლეტავთ, მოვწყვეტთ ინგლისელებს, გარს შემოვერტყმით და იარაღს დავაყრევინებთ. საფრანგეთმა დაჰკარგა საუკეთესო სამრეწველო ოლქები და თავის იმედი უკანასკნელი მამულიშვილნი, რომელნიც ღირსებით და გმირობით გულწრფელს პატივს იმსახურებენ თვით ათვალისწინებულ „ბოშების“ *) თვალში. ნუ თუ საფრანგეთს შეუძლიან ზედმეტი განცდის გადატანა? ნუ თუ შესძლებს ბრძოლის გაგრძელებას თვის საუკეთესო ბურჯთა წამოქცევისა და დედა ქალაქის დაკარგვის შემდეგ? მთელი ქვეყანა კი ღრმათაა დარწმუნებული, რომ პარიზის აღება და საფრანგეთის იარაღის აყრა უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე სასწაული, რომ გერმანელები ისევ რეინზე გადაჰრეკონო“.

გერმანელთა წყალქვეშა ფლოტი

გერმანელებს ომის დროს აუგიათ განსაკუთრებით უდიდესი და უსწრაფესი წყალქვეშა ნავები. თვითეული ნავის წყალწყვა უდრის 5 ათას ტონას ესე იგი ასეთი ნავი ცოტად მეტია ვიდრე სუბუქი კრეისერები. როგორც „Dailu Mail-ი“ იუწყება, ამ ნავებს შეუძლიანთ თავისუფლად ითარეშონ ატლანტის ოკეანეში და უვნებლად დაბრუნდენ უკან ისე, რომ ნახშირზე და სურსათზე ბევრი ფიქრი არ უნდოდეთ. გერმანელთა ახალ წყალქვეშა ნავებს გარს ჯავშანი აქვთ შემორტყმული და მიტომაც მათი მოსპობა ადვილი საქმე არ არის. შეიარაღებითაც გაცილებით მეტად შეიარაღებული არიან, ვიდრე წინანდელი ნავები. ირწმუნებიან, სრულიად თავისუფლად ატარებენ 6 დიუმიან ზარბაზნებს, თითქმის მეტსაც და საგრძნობელ ძალას წარმოადგენენ გაშლილ ზღვაში გემთა დასაღუპველადაო.

---

*) საფრანგეთში ომის გამოცხადებიდანვე გერმანელებს ზიზღის ნიშნად ბოშებს უძახიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ფოსტა

რუსეთის ასპარეზი.

„რუს. ინვ.“-ი სწერს: ნაროჩისა, ვიშნევსკი და ახლო-მახლო ტბების მიდამოები გერმანელების ძალიან გამაგრებულ ადგილებს წარმოადგენს. თუ ეს ადგილები გერმანელებს ხელიდან გამოეცალა, სვენციანის გზით მოქმედებაზე ხელი უნდა აიღონ და მათ საშუალება მოესპობათ ვილნო-დვინსკის რკინის გზის დაცვა უზრუნველ ჰყოფენ.

„ნოვ. ვრ.“ სწერს რუსეთის დასავლეთ ასპარეზზე ბრძოლის შესახებ: ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის აქ ატეხილი ცხარე ბრძოლა დიდი დასაწყისია თუ ეს მხოლოდ თვალის ახვევი მოქმედებაა. ერთი რამ კი ცხადია, რომ ზამთრის კამპანია დასრულდა და საგაზაფხულო მოქმედება იწყება.

მთავრობის განკარგულებანი.

საკანონმდებლო მოსაზრებათა კომისიამ მოიწონა რამდენიმე კანონ-პროექტი, მათ შორის კანონ-პროექტი, რომლის მიხედვითაც ძალაში რჩება დროებითი დამატებითი შტატები პოლიციისა ბაქოსა, ბათომსა, ფოთსა, პეტროვსკსა და ნოვოროსიაში.

ბრძოლის ველზე

სადღეისო ბილიუტენებმა დასავლეთ ფრონტიდან ფრიად მნიშვნელოვანი ამბები მოგვიტანა. გერმანელები სწრაფ და ქარიშხალურ შეტევის ნაცვლად მეთოდიური სიდინჯით აწარმოებენ ბრძოლას. ბრძოლის ახალი ობიექტები, რომელთა შესახებ აგერ კვირაზე მეტია ხმები გვესმის, როგორც მალანკური, ავოკური თუ ბეტანკურია დღესაც მოხსენებულია ბილიუტენებში. მიზეზი გერმანელთა ასეთ დინჯ სვლაზე გადასვლისა გახლავთ მტრის ძალის შეგნება და გონივრული შეფასება. დღესაო, ამბობს დინჯი და აუღელვებელი გერმანელთა სამხედრო მიმომხილველი მაიორი მორატი, ჩვენ გვიხდება ბრძოლა არა მარტო მტკიცე ზღუდეებთან, არამედ ფრანგთა ძლიერ სულთან, ახალი სული, სული შვილებისა, ეხლა ის აღარაა რაც იყო ძველად, როგორც ვხედავდით მათს მამათა შორის! უკეთესი დაფნა მამაც ფრანგ ჯარებს, ვგონებ, დღემდე არ მიუღიათ, როგორც ეს შეჰნიშნა ერთმა რუსმა სამხედრო მიმომხილველთაგანმა. აი, ამ ცოცხალი ძალის სიმტკიცე მოითხოვდა უფრო დინჯ და მეთოდიურს შეტევას, ვიდრე უგნურ სიმამაცის გატაცებული იერიში. აი, ამ მეთოდიურმა შეტევამ ახალი გამარჯვება შესძლენა გერმანელთ, მალანკურის ტყე დ ავონკურისა მათს ხელში იყო ჯერ კიდევ გუშინ, დღეს კიდევ მნიშვნელოვანი პუნქტი გორაკი ოკური აუღიათ, რომელიც ერთი კილომეტრითაა დაშორებული მალანკურიდან. ამნაირად, ახლოვდება საათი, როდესაც ფრანგთა ჯარები იძულებული გახდებიან ფრონტის შესასწორებლად დასტოვონ თვითონ მალანკურიც, რომ აიცდინონ ეხლა გერმანელთა საარტილერიო ჯვარედინად გამოშვებული ცეცხლი.

ამავე ბიულეტენით ვიგებთ, გერმანელები ეხლა ენისკენ ესწრაფებიანო, მაშასადამე, რკალი თანდათან იწევა, წინა კვირის ცეცხლის ობიექტი კიუმიერის ძალოვანი პოზიციაც ამ რკალში მოჰყვება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ შტრანცის არმიამ ეპარჟისკენ მიაპყრო ყურადღების მკვეთრი ისარი, უნდა ვიფიქროთ, რომ ვერდენი სულ ახლო მომავალში გარშემორტყმულ იქნება, მოხდება აქტი მისი სრული იზოლაციისა და ამით მას გამართლებულ საბუთს მისცემს ჩვენს კორესპონდენტის დღევანდელ ცნობას, რომ გერმანელები ვერდენისა და არგონების შუა გაჭრას აპირებენ. ეს აქტი კი მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებელია მაშინ, თუ გენერალ პეტინს საშუალებას მოუსპობენ ციხიდან გამოსვლისას გარნიზონის ალყის შემორტყმით მითი იმაგრებენ ზურგს და რომ გერმანელთ მართლა ესა აქვთ გუმანში, ამ მხრით გაჭრა, რასაც არა ერთხელ ვამბობდით წინადაც, სჩანს თვით ალყის შემორტყმის რკალის გადიდებას, ავოკურისკენ გადახრა.

რაც შეეხება რიგა დვინსკის ასპარეზს, დღეს ოფიციალი ბილიუტენები არ მოსულა. კერძო ცნობებში კი წინააღმდეგი აზრი გამოსთქვეს, ვითომც რიგისკენ დემონსტრაცია გერმანელთ თვითონ დაეწყოთ და დვინსკისკენ კი ნამდვილ იერიშებს ამზადებენო. ჩვენი კორესპონდენტის ასეთი ცნობა საეჭვოდ მიგვაჩნია, რადგანაც, როგორც წინადაც ვთქვით, ეხლა გერმანეთს არ შეუძლიან ორს მძლავრს ფრონტზე თვითონვე დაიწყოს შეტევა. უფრო შესაძლებელია დემონსტრაცია იყოს რიგისა და თვით დვინსკის წინააღმდეგაც, ვიდრე ნამდვილი გალაშქრება, რათა ამით ხელი შეუშალონ რუსის მხედრობას, რომ მათ ბრძოლის ინიციატივა ხელში არ ჩაიგდონ.

სპარსეთში კი რუსის სახელოვანმა მხედრობამ ისპაჰანი აიღო.

X.

თბილისი, 12 მარტი.

„ერთობა ჩვენთვის ტახტია“.

ხალხთა ცხოვრების ისტორია გვიმტკიცებს რომ კულტურული თუ სახელმწიფოებრივი ძლიერება, ამა თუ იმ ერისა, შედეგად მოჰყოლია ეროვნულ ერთობის და ერთსულოვნების განმტკიცებას. მეუფება ეროვნული იდეალისა, ყველაზედ მაღლა ეროვნული ინტერესის დაყენება და მისთვის დაქვემდებარება საპირადო თუ საპარტიო-საწოდებრიო ინტერესისა და თვალსაზრისი ყოველთვის ჰქმნიდა ეროვნული სახელმწიფოებრივი ცხოვრების სიმტკიცეს და ეროვნული შემოქმედების ლაღობისა და თავისუფალი ფრენის ასპარეზს. პირიქით, საპირადო თუ საწოდებრიო გულისთქმის გამეფება და ამ ნიადაგზე აღმოცენებული შუღლი და მტრობა ჰფიტავდა ერის ძალას, ფუშავდა მის შინაგან სიმტკიცეს და მთელ ქვეყანას უფსკრულისაკენ მიაქანებდა. თუ ერის სულიერი მატერიული და სახელმწიფოებრივი სიმტკიცე ეროვნული სინტეტიური პსიხოლოგიის ტრიუმფს მოუცია, ერის დაუძლურება და სულიერ ქონებრივი დასაწყლება ინდივიდუალისტური თუ კლასობრივი პსიხოლოგიის ბატონობას მოუტანია. საზოგადოებრივი პრინციპი თუ აღმშენებელი ყოფილა თავის შინაგანი თვისებით, ანარქიულ პრინციპს თავის ბუნებაში დაშლისა და რღვევის დასაბამი. უტარებია. ეს დასკვნანი ცხოვრების ფაქტებზე შემოწმებული დასკვნებია, დღეს უკამათო დებულებად მიჩნეული. ამის სიმართლე ყოველ ერს უგემნია. ყოველი ერთაგანი დღესაც ამ კანონს ემორჩილება, იგი სამარადისო და გარდუვალ ჭეშმარიტებად ეცხადება ადამიანის გონებას. იგი მართლდება წვრიმალ ყოველ დღიურ ფაქტზე, რომელსაც ის აუწონელი ფასი აქვს, რომ თანაბრად შეუძლია ურყევად ცნობილი ჭეშმარიტების გაბათილებაც და ახალის, სრულიად უცნობის აღმოჩენა დ განმტკიცება. კერძოდ ქართველობას ომის მიმდინარეობამ გამოთქმული დებულების საილიუსტრაციოდ რამდენიმე შემთხვევა მოგვიტანა. ვიცეს ცნობილი დეპეშა, ვითომც ქართველობას ოსმალეთ—გერმანეთთან საქმე დაეჭიროს, რომელიც პეტროგრადის დეპეშათა სააგენტომ მთელ ქვეყანას მოჰფინა, სააგენტომ უკანვე წაიღო, რადგანაც მთელი ქართული პრესა, სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულება და ინსტიტუტი, ყველა კლასი თუ წოდება ეროვნულის ერთსულოვნებით წინ აღუდგა სახიფათო შედეგებით მდიდარ ინსინუაციას. მეორე შემთხვევას, სადაც ეროვნულმა ერთსულოვნებამ გასჭრა, ქართველ მაჰმადიანების საქმე გვაძლევს. უდანაშაულო ხალხი იძულებამ აყარა მამაპაპეულ სამკვიდრებელიდან. მთელი მათი ავლა-დიდება დაარბიეს და გაანადგურეს. ყველას შესწამეს მასიური ღალატი. მთელ ხალხს მოელოდა განუკითხავი სასჯელი, ომის დროის შესაფერი. ხალხი ხალხად განადგურდებოდა და მათ მიწა-წყალს უცხო ტომი დაისაკუთრებდა.

საქმის ამგვარად წასვლა დიდ ეროვნულ უბედურებას თავს დაგვატეხდა. მთელი ქართველობა, როგორც ერთი კაცი ფეხზე წამოიჭრა; შეთანხმებული, ხმა-შეწყობილი სიტყვა თუ საქმე რაიცა გამოიჩინა მთელმა ქართველობამ განურჩევლად რწმენისა და შეხედულებისა, აქაც უებარ საშუალებად გამოდგა. ეროვნულმა დარაზმვამ ჩვენი ღვიძლი ძმა, მაჰმადიანი ქართველობა ქონებრივ და ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა და თავის სახლკარს დაუბრუნა, რადგან მის სასარგებლოდ სიმართლე და სამართალი აალაპარაკა.

ასეთივე ეროვნული ერთსულოვნება აღძრა იმ ხმამ, რომ საქართველოს ეკლესიის საექსარხოსოს, რაიცა დღეს მკრთალი მოგონებაა ივერიის მხცოვანი ეკლესიის ხანგრძლივი დამოუკიდებელი ავტოკეფალური წარსულისა, გაუქმება მოელოდა. დღეს სიამოვნებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ეს ცოდვილი ნაშთი ხელუხლებელი დაუტოვებია სათანადო ხელმწიფებას... მაგრამ საქართველოს ეკლესიის საკითხი ამით არ გადაიჭრება. საექსარხოსო ასე წელიწადია არსებობს, მას აქეთ რაც კათალიკოზი ანტონ პირველი, მეფე ერეკლეს შვილი, 1811 წელს რუსეთს წაიყვანეს. ამ ასი წლის განმავლობაში ქართული ეკლესია განიძარცვა სულიერად და ქონებრივად და ქართველი ხალხის რელიგიური ცხოვრება წარიყვნა, განსაცდელს მიეცა. ამ ყოფაში ჩავარდნილ ეკლესიას რადიკალური წამლობა სჭირია. დიდი ხანია, რაც ქართველი საზოგადოება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის აღსადგენად ყოველ ღონეს ღონობს. ივერიის ეკლესიის ამ კანონიერ უფლებას თვით მეფემ მოწყალების თვალით შეხედა და დღეს ყველა ერთადერთ სამართლიან რეზოლიუციის მოლოდინშია. ქართველი საზოგადოება ვალდებულია ამგვარად შეწყნარებულ საქმის კეთილ დაგვირგვინებისთვის შეერთებული გამოვიდეს და ეროვნულის ერთსულოვნებით მუშაობა განაგრძოს.

ცხოვრება ერთი დაუსრულებელი ბრძოლაა უფლების შესანარჩუნებლად. უფლებათა შორის დედოფალია ეროვნული უფლება, რომლის დაცვა თავის ნაირ-ნაირ გამოსახულებაში ჩვენი უპირველესი მოვალეობაა. ამის დაცვა შეიძლება ეროვნული შემოქმედი სინტეტიური პსიხოლოგიის გამეფებით, მთელი ქართველობის ერთ ბანაკში მოქცევით განურჩევლად წოდებისა და მიმართულებისა. გვახსოვდეს და არ უღალატებდეთ დიდებულ მგოსნის პოეტურად ნათქვამს სამარადისო ჭეშმარიტებას: „ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვის სახრჩობელაო“!

განვიმტკიცოთ ეს **ეროვნული** ერთობა და ქართველობა ახალ საგალობელს გააგონებს კაცობრიობის დიდ ოჯახს. გვწამდეს რომ ხსნა და ძალა ჩვენს ეროვნულ ერთობაშია! გვწამდეს და ერთობით ვმოქმედობდეთ!

დეპეშები

(„საქართველო“ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

გერმანელები ყოველ ღონეს ხმარობენ და ესწრაფიან ვერდენსა და არგონების შუა ფრონტი გაარღვიონ.

—

„ინვალიდი“ ამბობს: სვენციანის მიმართულებით გერმანელების იერიში მხოლოდ დემონსტრაცია არისო, მთავარი შეტაკება დვინსკთან არის მოსალოდნელიო. აქ მოქმედობს შოლცის ქვეითი ჯარი და შმეკოვის ცხენოსანი ჯარი.

—

ერზინჯანთან ოსმალებს ასი ათას მეომრისთვის თავი მოუყრია. საომარ ფრონტზე გამოჩნდა დივიზია (სინიჟ) სირიის კორპუსისა, რომელიც ალეპოდან იქმნა გადმოყვანილი.

—

მოსკოვის ქართველ საზოგადოებას მთავრობამ ნება დართო გახსნას ქართული სკოლა და მოაწყოს კურსები ქართულ ენის შესასწავლად.

გ. ვ.

—

პეტროგრადი, 9 მარტი. მისმა მეუფებამ, მიტროპოლიტმა პიტირიმმა პირადი საუბრის დროს დამავალა ვაუწყო საქართველოს მისის სახელით, სიტყვა სიტყვით შემდეგი: საექსარხოსოს არ გააუქმებენ; განზრახულია საქართველოს ეკლესიის პირველ იერარქს ებოძოს მიტროპოლიტის ხარისხი, შემდეგის სახელწოდებით: ექსარხოსი საქართველოისა, მიტროპოლიტი ქართლისა და კახეთისა.

ჭიაბრიშვილი.

სასიამოვნო ამბავი

იმ ერთსულოვანმა პროტესტმა საქართველოს საექსარხოსოს გაუქმებისა და კავკასიის სამიტროპოლიტოს დაარსების წინააღმდეგ, რომელიც გაისმა ჩვენს პრესაში, დიადი ნაყოფი გამოიღო: „საქართველოს საექსარხოსო“ საექსარხოსოდ რჩება, მხოლოდ ექსარხოსს, მთავარეპისკოპოზის მაგიერ, ენიჭება მიტროპოლიტის ხარისხი, როგორც იყო სამოციან წლებამდე. ამ უკანასკნელ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო დღევანდელ მომენტს თუ მივიღებთ მხედველობაში, სასურველია. საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელს რუსეთის ეპარქიაში დღეს მეოთხე ადგილი უკავია, ყოველივე დაქვეითება ამ მხრივ იქნებოდა დამცირება და შეურაცხყოფა უძველეს ავტოკეფალურ ეკლესიისა. რუსეთში ეხლა აპირებენ რვა სამიტროპოლიტო ოლქის შემოღებას, მაშასადამე, ექსარხოსი თუ მთავარეპისკოპოსის ხარისხით დარჩებოდა, ის, რუსეთის საიერარქიო პრაკტიკით, დაიჭერდა მეცხრე ალაგს; ამნაირად საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელი რუსეთში უფრო უნდა დამდაბლებულიყო. ამ გარემოებას, ვიმეორებ, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, საკითხი ეხლა სხვაა: როგორ უპირობენ შეუთანხმონ „საქართველოს საექსარხოსო“ „კავკასიის სამიტროპოლიტოს“, ანა და ჰფიქრობენ ამ უკანასკნელის შემოღებას? პეტროგრადის სააგენტოს დეპეშას თუ დაუჯერებთ, სინოდს 7 მარტის სხდომაზე მიუღია მხოლოდ შვიდი (და არა რვა, როგორც წინად იყო განზრახული) სამიტროპოლიტო ოლქი, რომელთაგან ორი ციმბირში იქნება, ხუთი კი ევროპის რუსეთში; სჩანს „კავკასიის სამიტროპოლიტო“ უკუგდებულია. ამ შემთხვევაში რას უპირობენ ჩრდილო კავკასიას? თუ სხვა რომელიმე სამიტროპოლიტო ოლქს მიაწერენ იმას, არა გვეთქმის-რა, ხოლო „საქართველოს საექსარხოსოს“ თუ მიაწერეს, ეს ჩვენთვის ხელსაყრელი არ იქნება, ვინაიდგან ამ შემთხვევაში ჩვენი ინტერესები საგრძნობლად დაიჩრდილება ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ, არამც თუ ჩრდილო კავკასია არ შემოგვიერთონ, პირიქით ის ადგილებიც ჩამოგვაცალონ, სადაც ეხლა მხოლოდ რუსის სამრევლოებია გაშენებული, სახელდობრ ერევნის, განჯის და ბაქოს გუბერნიები. „საქართველოს საექსარხოსო“ უნდა დარჩეს ძველ საქართველოს ეკლესიის ფარგლებში; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვეძლება ჩვენ ჩვენ თავს შემოუაროთ და ჯეროვნად ვისარგებლოთ კრებითი და ამორჩევითი პრინციპით, რომელიც უნდა შემოიღონ სამიტროპოლიტო ოლქებში და რომელსაც, ვფიქრობ, არ მოგვაკლებენ „საექსარხოსოშიაც“. ასეა თუ ისე, დღეს-დღეობით მეტი არა გვმართებს-რა, რომ ერთმანეთს მიულოცოთ სასიამოვნო გამარჯვება: „საქართველოს საექსარხოსო“, ეს უკანასკნელი აჩრდილი უძველეს დამოუკიდებელ ეკლესიისა, განსაცდელისაგან ვიხსენით.

დეკ. კორ. კეკელიძე.

საქართველოს ეკლესიის გარშემო

ეკლესიის გარშემო დღეს რუსეთში დიდი სარეფორმო მუშაობა სწარმოებს. ეს მუშაობა უპირველესად გამოიხატა სამიტროპოლიტოების შემოღების პროექტით. ამ პროექტის ძალით განზრახული იყო მთელი კავკასიისთვის ერთი სამიტროპოლიტოს შემოღება რაიცა საქრთველოს ეკლესიის საექსარხოსოს აუქმებდა და მით ამ ეკლესიის წარსულ, დამოუკიდებელ, ავტოკეფალურ არსებობის უკანასკნელ მოგონებასაც აქარწყლებდა. ქართველი საზოგადოება ამ ამბავმა მეტად ააღელვა. დღევანდელ დღეს ოფიციალ ცხოვრებიდან ამ ძვირფასი მოგონების აღმოფხვრის მუქარამ სამართლიანად შეაძრწუნა და აღადგინა ქართველის რელიგიური სული. ჩვენს გაზეთში ამ საკითხის შესახებ რამდენიმე წერილი დაიბეჭდა. რედაქციამ მოვალეობად მიიჩნია საქართველოს საექსარხოსოს ბედის შესახებ ცნობები პირდაპირ უმაღლეს სამღვდელო პირებისაგან მიეღო. ამ მიზნით მან დეპეშით სთხოვა თავის წარმომადგენელს და თანამშრომელს პეტროგრადში, ნაფიც ვექილს ბ-ნ დიმიტრი ჭიაბრიშვილს მიემართნა სხვათა შორის ყოვლად უსამღვდელოესობის, სინოდის პირველი წევრის მიტროპოლიტ პიტირიმისთვის. ყოვლად უსამღვდელოესი მიტროპოლიტ პიტირიმის პასუხი ჩვენ შეკითხვაზე დღეს დეპეშით გადმოგვცეს, რომელსაც ამავე ნომერში ვათავსებთ.

ქართული პრესა

გაზეთ **„სამშობლო“**-ში ბ-ნი ჯაიანი ეხება ქართველ მუსულმანთა ბედს და იმ მზრუნველობას, რომელიც გამოიჩინა ქართულმა საზოგადოებამ გაუბედურებულ მოძმეთა დახმარებაში. ამის შემდეგ ავტორი საზოგადოებას ყურადღებას **ლაზისტანს** მიაქცევს და სწერს:

„ბოლო დროს რუსის მხედრობა თანდათან იწევს მცირე აზიის შუაგულისაკენ, იგი იპყრობს ზოგიერთ სტრატეგიულ ადგილს. მანვე დაიკავა ძველი ჭანეთის დიდი ნაწილი, სადაც ცხოვრობენ ჩვენი თანამემამულე ჭანები ანუ ლაზები. ეს მხარე ერთი შესანიშნავი ნაწილთაგანია საქართველოს საერთო სხეულისა. ის აგრეთვე შესანიშნავია თავისი ისტორიული წარსულითაც. ძველს დროში ლაზები განთქმულნი იყვნენ ალებ-მიცემობისა და ვაჭრობის განვითარებაში, აგრეთვე ცნობილნი, როგორც საუკეთესო მეზღვაურნი, გემთა ამშენებელნი და საერთოდ კულტუროსანი ხალხი. როდესაც ჰერანსა და ბიზანტიას შორის ხანგრძლივი ომები იმართებოდა, ხშირად ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი იყო ლაზისტანის სამთავრო ჰერანის ბრძანებელს ხოსრო მეორეს მოსვენებას არ აძლევდა ელინური კულტურის გავლენა ამ ფრიად ფხიზელსა, სიცოცხლით სავსესა და მდიდარ ხალხზე. ის ხან დიპლომატიური მოლაპარაკებით ბიზან. იმპ. ჰერაკლესთან და ხან იარაღით სცდილობდა ლაზისტანი თავის გავლენის სფეროში მოექცია... ლაზისტანი ლაზისტანად დარჩა... ხოლო ოსმალთა გაბატონების შემდეგ, ის გადაიქცა ტრაპიზონის ვილაეტის ნაწილად, ლაზისტანის სანჯაკად. მას შემდეგ დრონი იცვალენ. ძველი კულტურა დაეცა, ხალხმაც მაჰმადიანობა მიიღო, მაგრამ ქართული ენ, (მეგრული) ზნე-ჩვეულება და მრავალი ტიპიური თვისება ქართველისა თითქმის უცვლელად დარჩა. ვაჭრობის უნარი, მეზღვაურობა და ალებ-მიცემა დღესაც განვითარებულია მათში. ოსმალეთის სატახტო და სხვა ქალაქებში ბევრი ლაზია—მსხვილი ვაჭარი. რუს-ოსმალეთა წარსული ომის დროს საკითხი აღიძრა ლაზისტანის სანჯაკზე. ამ ქვეყანა ისე, როგორც აჭარას, რუსეთი შეიერთებდა, რო ინგლისს ხელი შეეშალა და დიდი წინააღმდეგობა არ გაეწია ოტომანთა იმპერიის ხარჯზე რუსეთის საზღვრების გაფართოვებისათვის; ხოლო მცირე ნაწილი ლაზისტანისა მურღულის მხარე რუსეთმა შეიერთა და დანარჩენი კი ისევ ოტომანთა ხელში დარჩა.

მიუხედავათ იმისა, რომ ლაზისტანი ოსმალთა სამფლობელოს შეადგენდა, ჩვენ შეძლება გვქონდა მათი გაცნობისა, მათზე ცნობების შეკრებისა და მათთან სულიერათ დაკავშირებისა. ეს ჩვენ არ მოგვიხდენია. ძალიან ცოტა ცნობები მოგვეპოვება მათ შესახებ. ახლა-კი, როცა დიდი ნაწილი ამ ქვეყნისა რუსეთმა დაიპყრო, ჩვენი მოვალეობაა ახლავე საქმეს შევუდგეთ საჭიროა ლაზისტანის იმ ადგილებში, რომელიც ჩვენს ლაშქარს უკავია, ჩვენმა საქმელმოქმედო საზოგადოებამ გაგზავნოს რამდენიმე წარმომადგენელი მეგრულის მცოდნე, მით უმეტეს, რომ იქვე იმყოფება დიდი ნაწილი სამშობლოდან გადევნილ-გარეკილი აჭარლებისა, რომელნიც სიმშილ-წყურვილით სიცივით და უსახლ-კარობით იხოცებიან. საჭიროა სწავლა და მათი თავის ოჯახში დაბრუნება საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობამ ამაზე ჯეროვანი შუამდგომლობა და ზრუნვა არ დააყოვნოს“.

რუსული პრესა

გაზეთ „დენ“-ში პ. ქავთარაძე მოგვითხრობს აჭარის უბედურების ამბავს. ავტორი იგონებს აჭარელთა „ღალატი“-ს შესახებ გამოძიების დაწყებას, მათ გასამართლებას, რომელმაც სავსებით გაანთავისუფლა ქართველი მუსულმანები სახელმწიფო ღალატის საშინელი ბრალდებისაგან და ამის შემდეგ ამბობს:

„იმ დროს როდესაც ერთის მხრით აჭარელთა საქმეებს სასამართლო არჩევდა და მეორეს მხრით ქართველი საზოგადოება უბედურ მოძმეთა დახმარების საქმეში იყო ჩაბმული, კანცელარიის მყუდროებაში ბედშავ აჭარელთათვის ახალი რისხვა მზადდებოდა. მე მოგახსენებთ ომის დროს გარდახვეწილ აჭარელთა მიწა-წყლის იჯარით გაცემაზე. იმის მაგივრად, რომ მიეღოთ ზომები რათა გაქცეულები უკან დაებრუნებინათ და დანგრეული კერის აღდგინების საშვალება მიეცათ, მათს მიწა-წყალს უცხო ტომის ხალხს აძლევენ.“

ამის შემდეგ ავტორი აჭარელთა მიწა-წყლის სომხებზე იჯარით გაცემის ისტორიას მოგვითხრობს და არკვევს, რომ ართვინის ოლქში 30 სოფლის მიწა-წყალი გაუციათ 4,383 მან., არდანუჩის 10 სოფელი 1,538 მან., რომელთაგან 36 სოფელი სომხებს აუღიათ 5,731 მანეთად.

კვირის სურათებიან დამატებაში მოთავსებული იქნება: სურათები კნ. ნინო ორბელიანისა, 37 წლის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის გამო. მისი ლექსები და ფაქსიმილე. მოკლე ცნობა კნ. ნინო ორბელიანის შესახებ. სურათები: მონანიების გზისკენ, გემის დაღუპვა, და რამდენიმე კარიკატურა. შარჟი: ოსიკო ბარათაშვილი და გრ. რობაქიძე. „მწყემსი დედოფალი“ (დასასრული) და „ცაცხვების ქვეშ“ ზ. ედილისა.

ახალი ამბავი

◆ მეფის ნაცვალმა დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ, როგორც გუშინდელ ნომერში გვქონდა მოხსენებული, დაუგზავნა გუბერნატორებსა და ოლქის უფროსებს მიწერილობა დეპეშით **სასოფლო სამეურნეო მუშაობის ორგანიზაციის შესახებ,** რათა დროზე მოესწროს მთელი მინდვრის სამუშაოს დამთავრება. მოგვყავს ეხლა შინაარსი ამ დეპეშისა უფრო ვრცლად: გუბერნატორეებმა უნდა მიაქციონ ყურადღება, რომ საგლეხო დაწესებულებათ და მათ ფუნქციის აღმსრულებელ ორგანოებმა გლეხთა მეურნეობის დახმარების საკითხი საზოგადოთ და კერძოთ იმ ოჯახებისა, რომელთა წევრნიც ომში არიან გაწვეულნი რიგზე მოაწყონ. მომრიგებელ შუამავლებს ან მათ მოადგილეთ ევალებათ ამის გამო, ადგილობრივ შეკრიბონ ცნობები ამ უნუგეშოთ დატოვებულ ოჯახებზე და გამოძებნონ საზოგადო ან კერძო დახმარების საშუალებანი მათ დასახმარებლად. საჭიროა წახალისება ადგილობრივ მცხოვრებთა რომ დაეხმარნენ იგინი მათ მუშაობის დროს. საჭიროა ხალხს ჩააგონოთ ქალის შრომის ღირებულობის შესახებ სასოფლო სამეურნეო მუშაობაში. დეპეშაში გამოთქმულია სურვილი რომ სასოფლო სამეურნეო, კოოპერატიული და საქველმოქმედო საზოგადოებანი როგორც წინად ისე ეხლაც დაეხმარებიან იარაღის შეძენით თესლით და სადაც მოსახერხებელია ფულითაც კი. დასასრულ თავის დეპეშაში მეფის ნაცვალი გამოსთქვამს სურვილს, რომ გუბერნატორები მოახერხებენ ამნაირ ფრიად მნიშვნელოვან საკითხში ამოძრავებას ყველა ძალებისას, როგორც მთავრობის ისე საზოგადო და კერძო დაწესებულებების და არ გაუშვებენ ამ ადგილებს დაუმუშავებელს.

◆ სასახლეში მათ იმპერატორობით უმაღლესობის დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის, დიდ მთავარ ანასტასია ნიკოლოზის ასულის, დიდ მთავარ პეტრე ნიკოლოზის ძის და დიდ მთავარ მილიცა ნიკოლოზის ასულის თანადასწრებით პოლკოვნიკმა დ. რაკოვიჩმა წაიკითხა **ეთნოგრაფიული მიმოხილვა ხევსურებზე.** ლექტორი შეეხო სარწმუნოებრივ ხასიათს ხევსურების სათემოებისას, მათ მოსამართლეობას, ზნე-ჩვეულებას და ეკონომიურ მდგომარეობას. თვისი მოხსენება ლექტორმა ბუნდოვან სურათებით დაასურათხატა და დიდად დააინტერესა მსმენელნი. ლექციას დაესწრნენ საქართველოს ექსარხოსი პლატონი, მეფის ნაცვლის სამხედრო ნაწილის თანაშემწე ინჟ. გენ. ნ. ნ. იანუშკევიჩი, მეფის ნაცვლის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწე თ-დი ვ. ნ. ორლოვი და მთელი ამალა მეფის ნაცვლისა. ლექცია ღამის $11^{1}/_{2}$ საათზე დამთავრდა.

◆ თბილისის გუბერნატორმა ნება დართო **ებრაელთა რაბინ მარკუსს ფულის შეგროვებისა,** ომში მყოფ თბილისის გარნიზონის ოჯახთა სასარგებლოდ.

◆ ვ. მ. ალტუნიანცმა და ა. აბოვიანცმა შუამდგომლობა აღძრეს გუბერნატორის წინაშე **მომხმარებელ ამხანაგობის დაარსების** შესახებ სოფ. ყარზახში, ახალქალაქის მაზრა; ამხანაგობას სახელად „კონკურენცია“ ეწოდება.

◆ გუბერნატორის წინაშე ვ. ხ. ლუკოვსკიმ, პ. პ. შენგელიამ, გ. ა. ბეჟანიშვილმა, ი. ლ. რჟონცმა, კ. ა. სობოლევმა, ი. გ. მზორისიძემ, ნ. ი. ბუსურაშვილმა და ტ. ლ. ჯევადოვმა შუამდგომლობა აღძრეს **გაზეთის გამყიდავთა შრომის არტელის** დაარსების შესახებ.

◆ სასტუმრო „კავკაზში“ მცხოვრებმა გ. კაზუმოვმა განუცხადა პოლიციას, რომ როცა ის **„თეთრ დუქანში“** ვერაზე იმყოფებოდა ამხანაგთან ერთად ამერიკელ ქვეშევრდომ მ. გარისთან, უცნობ „კამპანიაში“ იქვე გვერდით, ატყდა ჩხუბი, რომელშიაც ისინიც ჩაითრიეს. საერთო ჩხუბის დროს ერთმა უცნობმა თავში დაჰკრა კაზუმოვს, ხოლო **„თეთრ დუქნის“ პატრონმა წაიქცია იგი იატაკზე, და-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჭრა ხელში და ყელში წაუჭირა, ასე რომ კაზუმოვმა გრძნობა დაჰკარგა. როცა გონს მოვიდა, ჯიბეში მას 2000 მანეთი აღარ აღმოაჩნდა.

◆ საზღვაო ლაშქრის „ობერ-აფიცრები“, „ზაურიად პრაპორჩიკები“ და კონდუქტორები (გარდა სამსახურ გარეშე მყოფ ობერ-აფიცრებისა, რომელნიც დაჯილდოებულ არიან შტაბ-აფიცრის ჩინით) 50 წელს მიხწეულნი, რომელნიც თბილისის გუბერნიაში და ზაქათლის ოლქში სცხოვრობენ მოვალენი არიან ეხლავ განუცხადონ თბილისის საგუბერნიო სამხედრო ბეგრის საკრებულოს თვის სამსახურის ყველა ცნობები (უქაზების ჩვენებით სამხედრო სამსახურიდან გამოსვლაზე) საზღვაო ლაშქარში გასაწვევად.

◆ თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრისაგან მიღებულ დეპეშისა უყურადღებოდ დატოვებულ იქმნა შუამდგომლობანი **იმ თეთრ ბილეთიან პირთა**, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში იმყოფებიან და ვადის გაგრძელებას თხოულობდენ (отсрочка). შესამოწმებლად, ეს პირნი უსათუოთ ვადაზე უნდა გამოცხადნენ და თუ ჯანსაღი აღმოჩნდებიან შემოწმების შემდეგ, მაშინ მათ უნდა წარუდგინონ სამხედრო უფროსს (воинскій начальникъ) თავის მთავრობის მიერ მიცემული საბუთები ვინაობის, მიჩენილ სამუშაოს დათხოვნის (отпускъ) საჭიროების შესახებ. ამის შემდეგ სამხედრო უფროსი 6 კვირით ითხოვთ მათ ე. ი. ვიდრე ამ ხნის განმავლობაში მათი ჯარში გაწვევის ვადის გაგრძელების საკითხი არ გადაწყდება თანახმად კანონთა 348 წესდების მიხედვით.

◆ ქალაქთა კავშირის **გორის კომიტეტის წევრებად** არჩეულ იქმნენ ნ. ი. მდივანი, დ. ე. ონიაშვილი და პ. კ. ჯაფარიძე.

◆ 11 და 12 საპოლიციო უბნის **ამომრჩეველთა კრება** დღესაა დანიშნული ნაძალადევში საღამოს 7 საათზე.

◆ **რედაქციამ მიიღო** საყმაწვილო ჟურნალი „**ჯეჯილი**“ თებერვლის ნომერი.

◆ საარჩევნო კრებაზე რომელიც პირველ საპოლიცო უბნის ამომრჩეველთაგან შესდგა **რუს ამომრჩევლებმა დაადგინეს** არავითარ ბლოკში არ შევიდნენ არც ერთ ჯგუფთან. კანდიდატის სიაშიც სულ რუსები შეიტანეს.

◆ 10 მარტს, ს. ზ. მირზოევის თავმჯდომარეობით, კრება ჰქონდა ავლაბრისა და ნავთლუღის ამომრჩეველთა, ეგრედ წოდებულ, ინტერნაციონალ ჯგუფს. კრებამ დაადგინა სთხოვოს ქალაქის გამგეობას, რომ სახმოსნო კანდიდატების სიების ჩაგდება ყუთებში საღამოს 5—7 საათის განმავლობაშიც შესაძლებელი იყვეს, რადგან ამომრჩეველთა დიდი ნაწილი სამსახურში მყოფი ხალხია და ნაშუადღევის 2 საათამდე, როცა სიების ჩაგდების დრო არის დანიშნული, ვერ იცლიან. კრებაზე შემდეგ დასახელებულ იქმნენ სახმოსნო კანდიდატებად: 2 ქართველი, 1 რუსი, 6 სომეხი და სამი მათი კანდიდატი, რომელთა შორის 2 რუსია და 1 ქართველი, სულ 11 კაცი. კრების დადგენილებით აღნიშნულ კანდიდატთა შორის 27 მარტს კენჭს უყრიან შემდეგ პირთ: მ. ნ. კვეზერელ-კოპაძეს, ი. ტ. კაშკარიოვს, ს. ზ. მირზოევს, ა. გ. მანუჩაროვს, ნ. ე. წვეროვს და ა. ვ. ჩერნიშევს. თუ ეს პირები გათეორდნენ და გამგეობის მომხრე ჯგუფის კანდიდატები გაშავდნენ, ინტერნაციონალი ჯგუფი დანარჩენ 5 თავისს კანდიდატს დამატებითი არჩევნებზე დაუდგამს ყუთს.

◆ დღეს, საღამოს 8 საათზე, კრება ექნება ჯარში გასაწვევთათვის შეღავათის აღმომჩენ საქალაქო კომიტეტს. კომიტეტმა უნდა განიხილოს თეთრბილეთიანებისა და ჯარში ახლად გასაწვევ (1918 წ.) ახალგაზდათა სია, კრებაზე დასწრების ნება აქვთ იმ დაწესებულებებსა და აფიცრებს, რომელთაც კომიტეტში წარდგენილი აქვთ თავიანთ ხელქვეითთა სია.

◆ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას მოუვიდა ქუთაისის განყოფილების მოქმედებისა და საფინანსო ანგარიში. წასული წლის აპრილიდან მიმდინარე წლის 1 მარტამდე. განყოფილებას მოქმედება დაუწყია 1915 წლის 28 აპრილს. ამ ხნის განმავლობაში შემოსავალი ჰქონია 11.048 მან. 17 კაპ., გასავალი 9.309 მან. 14 კაპ., დარჩენილა 1.739 3 კაპ. განყოფილებას ჰყავს 80 წევრი. განყოფილების სამოქმედო საგანს შეადგენდა ქონებრივად და ზნეობრივად დახმარებოდა ქართველ მაჰმადიანებს, წყალდიდობისაგან დაზარალებულთ, მოუსავლობისგან დაზარალებულთ, ომიანობისაგან დაზარალებულთ და გადმოხვეწილთ.

◆ ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ 10 მარტს დაადგინა გადასდოს: 1) თბილისის ქართულ გიმნაზიისათვის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ 500 მან., 2) იმავე გიმნაზიის მშობელთა წრისათვის 200 მან., 3) საზოგადოების ფოთის განყოფილებისათვის 500 მან., 4) ოზურგეთის განყოფილებისათვის 150 მან., 5) სიღნაღის განყოფილებისათვის 300 მან., 6) პეტროგრადის სტუდენტთა სათვისტომოსთვის 500 მან., 7) თბილისის საეპარქიო სკოლისათვის 200 მან., გარდა ამისა კრებამ დაადგინა შეიტანოს თბილისის მე-2 საკომერციო სასწავლებელში 11 მოწაფის სწავლის ფული.

◆ კვირას, 13 მარტს, „კრუჟოკის“ დარბაზში კრება ექნება მე-2 და მე-3 საპოლიციო უბნის ამომრჩეველთა პროგრესიულ ჯგუფს, რომელიც სახმოსნო კანდიდატთა სიას გადაათვალიერებს.

◆ მცოდნე კაცთა მიერ შეკრებილ ცნობის მიხედვით, **ახალციხის მაზრაში** 1901 წლამდე მაჰმადიან ქართველების ოჯახებში ყველანი ქართულ ენაზე ლაპარაკობდნენ. მაგრამ შემდეგ სასულიერო პირთა მეოხებით ოჯახებში თანდათან გაჩნდნენ არაქართველ ტომის პატარძლები და ამ გარემოებამ დიდი გავლენა მოახდინა ბავშვების აღზრდაზე. ამ ჟამად იშვიათად ნახავთ ისეთ ოჯახს, რომელშიაც 10 წლის ბავშვმა ქართული იცოდეს; ოჯახმა ელფერი იცვალა და მთელი ხალხი, ჯერ თუ სავსებით არ გადაგვარებულა, გადაგვარების გზას მაინც დაადგა. საქმის ასეთი მდგომარეობა გათვალისწინებული აქვს ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას, მაგრამ სახსარი არ მოეპოვება ქართული სკოლები დააარსოს მაზრაში და ხალხი იხსნას გადაგვარებისაგან. ამიტომ როგორც გადმოგვცეს, აღნიშნულ საზოგადოებას განუზრახავს მიმართოს წინადადებით ქართულ დაწესებულებათ, რომ ქონებრივად დაეხმარონ მას საერთოდ ჯავახეთში და კერძოდ ახალციხის ქართველ მაჰმადიანთა შორის ქართულ სკოლების დაარსებაში.

◆ გუშინ, 11 მარტს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 91, ხუნაგიანი 27, ყვავილიანი 2 სახადიანი 103, საოფლიანი 15 და მუცელათი 1 კაცი.

◆ 10 მარტს შემოიტანეს თბილისში: ფქვილი 5 ვმგ., შაქარი 16 ვაგ., კარტოფილი 2 ვაგ., ნავთი 9 ვაგ., დაუწმენდავი ნავთი 3 ვაგ.

◆ შიო მღვიმელის დილა ქუთაისში გაიმართება 25 მარტს.

◆ 10 მარტს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ განიხილა წერა-კითხვის საზოგადოების მთავარ გამგეობის მიერ შემუშავებული პროექტი საიჯარო ხელშეკრულობისა **ილიასეულ საგურამოს მამულის შესახებ**, ცოტაოდენ ცვლილების შეტანით მისი დამტკიცება შესაძლებლად სცნო და დაავალა თავისს წევრს ალ. ყიფშიძეს, წერა-კითხვის საზოგადოების წევრთან, ბ-ნ გ. ლასხიშვილთან ერთად, შეიმუშაოს საბოლოო რედაქცია ამ ხელშეკრულობისა.

◆ ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ განიხილა **საგარეჯოს საფეიქრო სკოლის** მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა და დაამტკიცა იგი. შემოსავალი სკოლისა ხარჯთ-აღრიცხვით ნავარაუდევია 700 მან., ხოლო ხარჯები—1.170 მან.

◆ ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება უკვე შეუდგა გარეჯელებისა და გიორგიწმინდელების მიერ დათმობილ 15 დესეტინა ადგილის შემუშავებას. ამ მამულის მოვლა და დამუშავება ჩაბარებული აქვს საზოგადოებისგან ინსტრუქტორს ნ. ქუმსიაშვილს, რომელმაც წლეულს ბოსტნის გაშენებას მოჰკიდა იქ ხელი. ბ-ნმა ქუმსიაშვილმა უკვე შეადგინა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც საზოგადოების საბჭოს მიერ დამტკიცებულია. ხარჯთ-აღრიცხვით წლეულს აღნიშნულ მამულზე უნდა დაიხარჯოს 2.300 მანეთი. ამ ფულიდან 500 მანეთი უკვე დახარჯულია მამულის შემუშავებაზე.

◆ რადგან წლეულს კარგი ფასი აქვს საერთოდ ბოსტნეულს, ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება **ხახვის მოყვანას აპირებს** იყალთოსა და საგურამოს მამულში.

◆ ნ. ი. ყავრიშვილმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას საქონლის ჭირის გავრცელების შესახებ თბილისის გუბერნიაში. მომხსენებელს აუარებელი ცნობები შეუკრებია, საიდანაც სჩანს, რომ **შინაური მსხვილფეხა საქონელი**, რომელიც რეკვიზიციას გადაურჩა, ჭირის მსხვერპლი გამხდარა. ზოგიერთ სოფელში მუშა საქონელი სრულებით აღარ მოიპოვება. ეს მოხსენება განიხილა აღნიშნულ საზოგადოების საბჭომ და დაადგინა სთხოვოს გუბერნატორს მიიღოს შესაფერი ღონისძიება ჭირის წინააღმდეგ.

◆ გუშინ ნაშუადღევს თბილისის სადგურზე მოასვენეს გვამი **ბრძოლის ველზე მოკლულ** პრაპორშჩიკ თ-დ დ. ნ. თარხან-მოურავისა. სადგურიდან სად. გრაკლით მიცვალებული ერთაწმინდაში დასაკრძალად იქმნა წასვენებული.

◆ ნავთლუღის მცხოვრებთა შუამდგომლობით პირველი ტრამვაის ვაგონი **ნავთლუღიდან მოწაფეთა წამოსაყვანად** ქალაქში გამოვა დილის $7^{1}/_{2}$ საათზე.

◆ ტყვეთ წაყვანილთა გამგეობის განყოფილება ქ. ნოვიროსიაშიც დაარსდა.

◆ საავარაკო საზოგადოების საბჭო ადგენს გზის **მაჩვენებელს** კავკასიის სამკურნალო ადგილებისას.

◆ ქალაქთა კავშირი ხსნის **საკვებ ადგილს ქ. დრიასში** ერზერუმიდან ლტოლვილთათვის.

◆ სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობას კრება ჰონდა ამ დღეებში და ითათბირა შესახებ იმისა, თუ რა წესით დაეხმაროს სოფლის მეურნეთ. კრებამ გაითვალისწინა-რა სიღნაღის მაზრის გაჭირვებული მდგომარეობა და მასთან ერთად ფიცხელი საჭიროება დახმარებისა, თუმცა აღიარა დიდი მნიშვნელობა საანკეტო ფურცლებისა მომავლისათვის, მაგრამ ამ ჟამად, რათა დახმარება არ დაგვიანდეს, საჭიროდ არა სცნო აღნიშნულ ფურცლების პასუხს დაუცადოს, ვინაიდან საჭიროება სოფლებისა ისედაც თვალსაჩინოა. კრებამ საჭიროდ სცნო ეხლავე დაეხმაროს სიღაალის მაზრის მცხოვრებთ, თავად-აზნაურთა და გლეხობას, პურის შოვნით, ვაზის წალმის მიწოდებით და მუშა ხელის შოვნით.

◆ თბილისის საბირჟო კომიტეტის მდივნად დანიშნეს მ. ნ. ავდეევი, რომელიც სტატისტიკას აწარმოებდა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში და იქიდან დაითხოვეს.

◆ სომეხთა სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სასარგებლოდ გადადებილ იქმნა საერობო თანხიდან 1,200 მან. ეს ფულები საზოგადოებამ ინსტრუქტორთა მუშაობის გაძლიერებას უნდა მოახმაროს.

◆ 10 მარტს ქალაქის გადამდებ სნეულებიანთა საავადმყოფოში მიიყვანეს ბერი ათანასე, რომელსაც ფალარათი და პირღებინება ჰქონდა. გუშინ, 11 მარტს, ავადმყოფი გარდაიცვალა. განავალის გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ბერი ათანასე ხოლერით გარდაიცვალა. მსახურებდა იგი წმ. ბარბარეს ეკლესიაში.

სოფლად.

◆ **მამასახლისების ამორჩევა.** ამ თვის ექვსს სოფ. ბერძენაულის კანცელარიაში ბ-ნ მომრიგებელ-შუამავლის თ-დ გ. ნ. ვეზირიშვილის თანადასწრებით ოთხი საზოგადოების: ალის, აბისის, ოქონის და დირბის რჩეულმა პირებმა აირჩიეს მამასახლისები: ოქონის საზოგადოებისამ ისევ არჩილ ჯახველაძე აირჩია, აგრეთვე აბისის საზოგადოებამაც ისევ მ. მესხი, ალის საზოგადოებამ ჩიტო მაჭარაშვილი და დირბის საზოგადოებამ—კალმახელიძე.

◆ **სოფ. სატივეში** ეკლესია გასტეხეს, მძარცველებმა რომ ვერა ნახესრა ხელწამოსაკრავი, ალსავლის კარების ფარდა ჩამოსჭრეს ხანჯლით და წაიღეს.

რა ხდება სპარსეთში

I

იმ დროს, როდესაც ვერდენის სასტიკი ოპერაცია მთელი თავისი საშინელებით უნებურად იპყრობს მთელს კაცობრიობის ყურადღებას, მეორე და მესამე ხარისხოვანი ასპარეზები სრულიად ავიწყდება ადამიანს. თვით რიგა-დვინსკის ფრონტი, სადაც, უეჭველია, გაზაფხულზე მოხდება საშინელი გალაშქრება ან ერთი, ან მეორის მხრით, რის ნიშნებსაც უკვე ვხედავთ მზვერავთა ხშირ შეტაკების სახით, ჩვენთვის თითქმის ყოველ ინტერესს მოკლებულია. დავივიწყეთ გასული წლის საოცარი ლაშქრობანი, გვავიწყდება რუსეთის მხედრობის არა ნაკლებ განსაცვიფრებელი უკან დახევა და შიდა გუბერნიებში ცოცხალი ძალის გადარჩენა, დავიწყების დავთარს ჩაჰბარდა საშინელი ტრაგედია სერბეთ-მთაშავეთისა, დასასრულ თითქმის აღარც კი გვახსენდება კავკასიის სახელოვანი ლაშქრობა, ამ ლაშქრობის დიადი სამი თებერვლის საჩუქარი—აზრუმის დაცემა, შემდეგ აზრუმზე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მეორე ძლევენი—ბითლისი 19 თებერვლის საჩუქარი და პონტოსის ყურეზე რიზეს ნავთსადგურის ხელში ჩაგდება 23 თებერვალს. ყველა ეს ჩვენთვის აღარაფერია. კაცობრიობა გონებით კი აღარ სჯის, არამედ თვალად და ყურთასმენად გარდაქცეულა. სთქვით ათასი შეუსაბამო, იმსჯელეთ როგორც გსურთ, ოღონდ დაავიწყეთ ჟრუანტელ მომგვრელი მდგომარეობის სირთულე, ოღონდ სენსაციით დააჭყეტინეთ თვალები, გააცვიფრეთ. გერმანეთი მსოფლიო ომის ასპარეზზე ჯამბაზის როლშია, ესმის ყველა ეს და ამიტომაც ასე უხვად არიგებს თილისმათა ყუთებს, რომ ჰიპნოზით შეიპყროს ქვეყნიერება და იქ მისჯაჭვოს მისი ყურადღება, სადაც ამ სათილისმო ყუთებს მოხდის. აი, ამ ჯადოქრობამ დაგვავიწყა წარსული და მახლობელი, მარცხიც და საკუთარი გამარჯვებაც. დაგვავიწყდა ისიც, რომ იმ დროს, როდესაც ვერდენთან სიკვდილ-სიცოცხლის ქარიშხალი მოსცეკვს, შედარებით უმნიშვნელო, მაგრამ ჩვენთვის, პირადად ქართველთათვის, როგორც აზიისა და ევროპის კარში მცხოვრებთათვის უფრო საგულისხმიეროა ჩვენივე ფრონტი და მახლობელი ქვეყანა სპარსეთი, სადაც არწივნი გენერალ ბარათოვისა სასწაულს სჩადიან უცხო და მწირ უდაბნოებში, სადაც თითქმის უგნური სიმამაცე შესაძლებელია მოულოდნელი კატასტროფის წყალობით ერთიან გაჰქრეს, სახელდობრ ეს იმ კატასტროფით, რაიც მოსდევს ზომიერ ჰავას შეჩვეულთ მწირსა და გაოგნებულს სიცხე-პაპანაქების ქვეყანაში ყოფნის დროს. არ ვიცით რა მოხდება, არ ვიცით, რა რით გათავდება, მაგრამ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ ამ მხრით ძლევა მოსილი მხედრობა ფარხმალის ჟღარუნით გატაცებული უკან მიუხედავად რომ მიჰქრის შორ-შორს, შეუმჩნევლად სიკვდილის ლანდს ეთამაშება და მართლაც ზეკაცურს სულს უნდა მიეწეროს, თუ გასაჭირი ძლეულ იქმნა, თუ ამ გათამამებულ ბრძოლაში მხედრობა იგი სასწაულს მოახდენს და ღია მკერდით, შიშველ გულით, ნაფხრეწ დროშებს მოგვიტანს ძლვნადა.



II

სადაა ეხლა ეს მხედრობა? რას სჩადის გენერალი ბარათოვი? რას აკეთებს? ყველა ამ საკითხთა გარკვევა მოითხოვს. ერთი თვალის გადავლებით გავიხსენოთ ფაქტები ორთავე ფრონტისა, კავკასიის და სპარსეთისა, რომელნიც ურთიერთთან ფრიად არიან დაკავშირებულნი.

ჯერ კიდევ დეკემბრის დამლევს (1915 წელს) რუსის მხედრობამ დაიწყო ნელი და ფარული შემოტევა სხვადასხვა მხრით. როგორც ვიცით, შემოტევა იგი ფართო ოპერაციების სახეს იღებს იანვარში და თებერვლის დამლევამდე უმაღლეს წერტილამდე ვითარდება. ამ ხნის განმავლობაში, როგორც ზემოდაც მოვიხსენეთ, დაეცა არზრუმი, რიზე, ერთი სიტყვით, ამ ნავთსაყუდარიდან მოყოლებული ვანისა და ურმიის ტბამდე (იხ. რუკა № 1) მთელი ტერიტორია გაწმენდილი იქმნა. ამ ბრძოლაში დიდად დაზარალდა მუჰმედ ქიამილ-ფაშას მესამე არმია, რომელმაც ადრევე გაჰკრა დეზი ანატოლიისკენ, რათა ცოცხალი ძალები როგორმე გადაენარჩუნებინა კავკასიელ ჯარების დევნისაგან და სრულ განადგურებისაგან.

ამ არმიამ უმთავრესი ბაზა აზრუმი დაჰკარგა და მით ნიადაგი გამოაცალა სიმტკიცისა. დააკვირდით რუკას (№ 1), ერთი დახედვითაც კარგად ვამჩნევთ, რომ აზრუმით გადახლართულია საუკეთესო გზები, რომელნიც სულ სხვადასხვა მხრით მიდიან, როგორც ზღვისკენ, ტრაპიზონისკენ, ისე ანატოლიისკენ, ისე სპარსეთისკენ.

მუჰმუდ ქიამილ-ფაშას არმიის სრულ განადგურებიდან გადარჩენა სწორედ ამ გზების წყალობით აიხსნება. როგორც ვიცით, გამარჯვებულთ აზრუმის ციხის დაცემისას დავლა სახარბიელო არა დარჩენიათ და რა არც თუ ტყვეები წამოუყვანიათ საგრძნობელი. ქიამილ-ფაშამ დროზევე დაანაწილა ეს არმიები და უმთავრესად სამი გზით გაამგზავრა, ერთი ერძინჯანისკენ, რომელიც აზრუმიდან 180 ვერსითაა დაშორებული და მშვენიერ გზატკეცილითაა შეერთებული ანგორა სივასთან, საიდანაც ოსმალნი მოელოდნენ მაშველ ჯარებს, მეორეთი—ბითლისის გზით, შესაძლებელია სამხრეთით ბაღდადისკენ მდგარ გოლც ფაშას არმიასთან შესაერთებლად და მესამეც თითქმის უგზო-უკვლოდ ტრაპიზონისკენ გაემართა.

ყველა ეს გზები, თქმა არ უნდა, კავკასიის მხედრობას არ დარჩებოდა შეუმჩნეველი და დიდის სისწრაფით, შეიძლება ითქვას, წინდაუხედავი, უკედ, გადაჭარბებული სისწრაფით გამოეკიდა ამ დანაწილებულ ჯარებს და, როგორც ვიცით, ეხლა საგრძნობლად დაშორდნენ კიდეც მთავარს ბაზას აზრუმს, აიღეს მამახათუნი ერთის მხრით და უკვე ახლა კოტერიც დასცეს, რაიც მორიგ საკითხად სთვლის ახლა ფრიად მნიშვნელოვან ოსმალთა ბაზას ერძინჯანს, სადაც შესაძლებელია შეტაკება მოუხდეთ ანგორა-სივასიდან მომავალ ჯარებთან, მეორე მხრით ხომ ბითლისია დღეს და მით კარი გაიხსნეს სპარსეთში შესასვლელად (რუკა № 1), რაც შეეხება ტრაპიზონისკენ მიმავალთ ბქ მათ სდევნიან როგორც აზრუმის გმირნი, ისე ემუქრებიან შავი ზღვით ატინაში გადმოსულნი, რომელთაც, როგორც ვიცით, ფლოტის დახმარებითა დღეს რიზე და ამ ჟამად კალაპოტამოსსაც გადასცდნენ კიდეც. (რუკა 1)

III

კავკასიის არმიის მოქმედება შემთხვევით გეგმას არ უნდა მიეწეროს, როგორც მოსკოვის გადაწვამ შემთხვევითი გეგმა შეადგენინა კუტუზოვს კორსიკელ არწივის დასაბუმბლად. არა, ამ ოპერაციების გეგმა უნდა შემუშავებულიყო ჯერ კიდევ 1915 წლ. ნოემბრისა და დეკემბრის რიცხვებში. გვეხსომება, ამ დროს გენერალი ბარათოვი ლეგენდარულ პიროვნებად გარდაიქცა და ათასი ხმები დადიოდა, ეხლა აქ არის, ეხლა აქაო, ამბობდნენ იმასაც, რომ იგი გარშემორტყმულიაო. იყვნენ ისეთნიც, რომელთაც კიდეც დაატყვევეს, ტყვეობიდან გაიქცა და მრავალი სხვა. ამ ამბებს, რა თქმა უნდა, საპარიკმახეროს ბიუროდან გამოსული ბიულეტენები უფრო ავრცელებდა, ვიდრე მთავარი შტაბის ცნობები. საქმე ისაა, რომ შტაბი რატომღაც ძუნწობდა ცნობების მოწოდებაზე. ხალხს სინამდვილის გაგება ჰსურდა და მთელი კვირაობით კი მოკლებული იყო ამბებს. ისიც უნდა დავუმატოთ, რომ იშვიათად მოსული ამბებიც მეტ წილად ორაზროვანი იყო, საეჭვო. გვეხსომება თუნდა ასეთი მოხსენება მთავარი შტაბისა, „როგორც დაჭრილმა ჯარისკაცებმა გადმოგვცეს“. ან და ასეთი ცნობა „დიდი ვაივაგლახის შემდეგ დაუღწევია თავი, მოაღწია ჩვენამდე და ეს გვიამბო“... ყველა ასეთი „როგორც“ და „ამბობენ“ სამართლიან ეჭვებს ჰბადებდნენ. იმ დროს საკითხი სპარსეთისა სერიოზული იყო. ოსმალთა და გერმანელთა აგიტატორები აღელვებდნენ. სპარსეთი იყოფოდა. მეფეთა-მეფის ნების ყოფა სრულიადაც არ წარმოადგენდა იმ სიმბოლოს შესაფერს ეკვივალენტს, რასაც სახელმწიფო ღერბად ატარებენ ძლიერების ნიშნად. შაჰი სათამაშო ნივთი იყო, ბურთივით ათამაშებდნენ, ხალხი კიდევ ფარას, რომელსაც ვინც დაუქნევდა ხელს, ის წაიყვანდა. აი, ასეთს ხალხში აგიტაცია ერთისა თუ მეორეს მხრით ადვილი საქმე იყო და გენერალ ბარათოვსაც თუ გნებავთ გიჟური ვაჟკაცობა აფრთოვანებდა, რომ ასეთს უნიადაგო და საშინელს ატმოსფერიან მხარეში შეიჭრა ერთად ერთ სახელოვან მხედრობის იმედით. ეს გარემოება ოსმალთ და გერმანელ აგიტატორებს, შესაძლებელია, პირველად ახარებდა კიდეც, რადგანაც შედარებით ძალები მეტი ჰყავდათ და მესოპოტამითაც მოელოდნენ იმ ლაშქრის წამოსვლას, რომელსაც ერთ დროს ზღაპრულ გეგმის განზრახვას აწერდნენ, თითქმის ინდოეთის გადალახვასაც კი. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ იმარჯვებს კულტურა, იმარჯვებს დისციპლინა, იმარჯვებს ტეხნიკა და არა მასსა. ძველ რაინდთა ნაშთნი დღევანდელი სპარსელები თუნდა მცოდნე გერმანელ ინსტრუქტორთა ხელში არ გამოდგა სასურველი მასალა, იგი უფორმო და უსახო მასსა იყო, რომელიც ყოველ შეკოწიწება მოზელისთანვე იშლებოდა და ირღვეოდა, ერთხელ შემდგარი რაზმი იფანტებოდა, ანუ როგორც იტყვიან, ერთი ალთას გაიწევდი და მეორე ბალთას.

მიუხედავად ამისა, გენერალ ბარათოვის საქმე შესაძლებელია სრულს კატასტროფით გათავებულიყო, თუ კი ოსმალთა რეგულიარი ჯარები მიასწრებდნენ, აი ეს გარემოება ჰქონდა მთავარ შტაბს სახეში, ყოველი დაგვიანება სახიფათო იყო და მიტომაც უნდა ელონათ რამე, ხელი შეეშალათ შეერთებაში, რომ ოსმალთა რეგულიარი ჯარები სპარსეთში არ გადასულიყვნენ. ამის გარდაწყვეტა და გეგმის შედგენა ერთი იყო, რაიც ასე მშვენივრად შესრულებულ იქმნა. დანარჩენი ვიცით. განვიხილოთ თვით გენერალ ბარათოვის ჯარების მოქმედება.

X.

(დასასრული იქნება)

სახელმწიფო სათათბირო

10 მარტის სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს, მერე ვარუნ-სეკრეტი.

ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვას იხილავენ. ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 93,720,674 მან.

ხარჯთ-აღრიცხვა მიიღეს.

შახოვსკი მოახსენებს ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის ხარჯთ-აღრიცხვას. მას საჭიროდ მიაჩნია ინგლისსა და შეერთებულ შტატებში დაარსდეს ფინანსების სააგენტო... ჩვენი სახელმწიფოს დავალიანების მიზეზი უპირველესად ის გახლავთ, რომ ფინანსიურ კეთილდღეობას ომის დაწყებამდევე შეერყა საფუძველი, რადგანაც ვიტესა და კოკოვცევის წყალობით სახაზინო არყის მონოპოლია შემოიღეს და არავითარს ღონისძიებას არა ხმარობდნენ ქვეყნის მწარმოებელ ძალთა ამოძრავებისათვის. თუმცა მოკავშირეებთან შედარებით ჩვენ გაცილებით ნაკლებს ვხარჯავთ ომზე, მაგრამ ჩვენი ფასიანი ქაღალდების მაზანდა მაინც საგრძნობლად დაეცა. ეს იმის ბრალია, რომ სახელმწიფოს ვალს ბაჯაღლო ოქროთი ვიხდით. ჩვენი ოქრო წყალივით მიჩხრიალებდა საზღვარგარედ, უმთავრესად გერმანეთში. სამწუხაროდ ეხლაც სამინისტრო ვალის სარგებლის გასასტუმრებლად ისევ სესხის აღებას აპირებს, სხვა სახსრის გამონახვის ნაცვლად.

სათათბირო ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის მოხსენების თანახმად ღებულობს

(შემდეგი იქნება)

ძველი და ახალი

„ეროვნული თვით შეგნების დამკვიდრება“, „გაღვიძება ეროვნული გრძნობისა“, „დათრგუნვა ერის წინსვლის შემაფერხებელ მიზეზებისა“, „შექმნა თავისუფალ ერისა“—აი ლეიბმოტივი კაცობრიობის ამონაკვნესისა, თემა, რომელსაც დაჰკვირებიან მთავრობანი, რომელსაც აუხმაურებია პარლამენტნი, ცეცხლის-მფრქვეველი სიტყვებით აუღელვებია ხალხთა კრებული, რომლის გაღვივებას ცდილობენ პრესსა, სხვა და სხვა დაწესებულებანი, უნივერსიტეტები, მეცნიერნი, საზოგადო მოღვაწენი, მწერალნი!

თვრამეტი თვეა მსოფლიო გრგვინავს ზარბაზნების ქუხილში: ბევრი რამ გამოიცვალა ამ უმაგალითო ჟამთა სვლაში, „ღირებულების“ უკიდურესი გადაფასება მოხდა, შეინძრენ ტაძარნი და შეტოკდენ კერპნი—გუშინ რომ სალი კლდის სიმკვიდრით იდგენ და ირგვლივ მუხლ-მოდრეკილი მლაღადებელნი ეგულებოდენ!

ვერავითარი კატაკლიზმი ვერ შეედრება იმ გარდაქმნას, რომელიც განიცადა ამ უკანასკნელ თვეებში ხალხის სულიერ სფერომ! სხვა და სხვა საკითხს—ერთი მეორეზე უფრო საჭირო და გადასაწყვეტს ელვის სისწრაფით მოაქანებს მრისხანე დრო და მოითხოვს უმალვე, დაუყონებლივ მის გადაჭრას, მკაფიო და გარკვეულ პასუხს,—და ეს პასუხი უნდა გასცეს ხალხმა, ერმა... დღეს ერის შეერთებული გონება უნდა შეუდგეს ტიტანიურ შრომას, უნდა იღონოს ყოველივე ძალა, რომ დასმული კითხვა უპასუხოთ არ დასტოვოს, და ესეც არ კმარა: იგი უნდა შეეცადოს კითხვათა გროვაში აღმოაჩინოს „პრიმასი“, უდიდესი და უპირველესი, რაც ერისათვის სანუკვარია და იგი აღბეჭდოს მაღლა ამართულ ეროვნულ დროშაზე.

ქართველმა ხალხმა იმ თავიდანვე გასცა სათანადო პასუხი დასმულ კითხვაზე; ეს არ იყო პასუხი მოულოდნელი, ახლად ჩამოყალიბებული,—ამ შემთხვევაში ერმა თამამად და გაბედულად გამოსთქვა ის, რაც განვლილ შავ-ბედ დროს ჩამარხული ჰქონდა გულში; დღეს ერის პოტენცია იღებს აქტიურ სახეს, იგი გამოდის სამოქმედო ასპარეზზე და ლამობს ოცნებათა განხორციელებას.

იყო დრო, და არც დიდი ხანია, რაც მან განვლო, როდესაც უვიცთა შთაგონებით ბევრს ჩვენთაგანს სცხვენოდა ქართველის სახელის ტარებისა. ამ ახლო ხანში გარდაცვალებული ცნობილი რუსის „ნაროდნიკი“ მის ვინაობის შეკითხვაზე უცვლელად უპასუხებდა ერთსა და იგივეს: „დედამიწის ზურგზე მცხოვრები ვარო“! ჩვენ სამშობლოშიაც ბლომად მოიპოვებოდენ იმგვარნი, რომელნიც თავის სამშობლოდ დაასახელებდენ რაც გნებავთ—მთვარეს, მარსს, ოღონდ კი ისინი საქართველოსათვის არ მიგესაკუთრებინათ! კოსმოპოლიტური მოძღვრება, ერთგვარი შეუწყნარებლობა ეროვნულ მომენტისა გავრცელებულია ყველგან, მას ჰყავს თვალსაჩინო წევრნი და მქადაგებელნი, მაგრამ არა მგონია სადმე მას მიეღოს ისეთი პატოლოგიური ხასიათი, როგორც ჩვენში და ვინ უწყის სადამდის შევსტოპამდით, რომ ზარბაზანთა გრიალს არ გამოეღვიძებინა ჩვენი თავი!?

როგორც ურწმუნო თომა, ჩვენ ფაქტებს ვეძებდით: უნდა დაგვენახა აოხრებული ბელგია, გადაბუგული პოლონეთი, ატირებული მთაშავეთ-სერბეთი, სადაც მამულისათვის თავდადებულნი სამშობლოს უკანასკნელ ადლ მიწას თვისი სისხლით რწყავდნენ,—ჩვენ უნდა ყველა ამ ტრაღედიის მოწამე ვყოფილიყავით, რომ შეძრწუნებულნი ხმა მაღლა დაგვეძახა: ფრთხილად—„Hannibal ad portas“.

საბედნიეროთ, დღეს ქართველობა დიდი კვლევა-ძიების შემდეგ დაადგა უტყუარ გზას, როს ნათლად შეიგნო ეროვნული თავდაცვის საჭიროება; მისთვის საქართველო არ წარმოადგენს მხოლოდ კულტურულ-ისტორიულ კატეგორიას, მან უკვე ფსიხოლოგიურად განიცადა სამშობლოს სიყვარული; ცნობას სამშობლოს შესახებ იგი უერთებს განუსაზღვრელ **გრძნობას**, ხარობს მის სიხარულით და უებრად იტანჯება მისი ტანჯვით. ეს ფაქტია ცხადზე უცხადესი და სწორედ ეს არის თავდები ჩვენი უკეთესი მომავლისა.

ამ ჟამად ეროვნულ ნიადაგზე მუშაობას თავის უპირველეს მოვალეობათ სთვლის ყოველი შეგნებული ქართველი. ერის იდეალების მოახლოვებას შეჰნატრის ღირსეული შვილი და იღვწის კიდეც, რათა აღსრულდეს წადილი ერისა, შინ და გარეთ დაუცხრომელი მუშაობა უნდა სწარმოებდეს, რომ ახალი აღთქმის უზრუნველ ქალწულებისამებრ, მოუმზადებელნი არ დავხვდეთ ნეფის მოსვლას.

სხვა ერთა შორის ეროვნული მუშაობა არ წარმოადგენს ისეთ სიძნელეს, როგორც ჩვენში: ყველა გარეშე შემაფერხებელი მიზეზი რომ გამოვსტოვოთ, საკმარისია გავიხსენოთ მარტო ის, რომ ჩვენი ეგრეთ-წოდებული ინტელიგენციის უმრავლესობა გადაგვარებულია. რა მოვსთხოვოთ მას ერისათვის, როდესაც იგი მოკლებულია ერთან დაახლოვების საშუალებას: ინტელიგენტს არ ეხერხება ქართული ენა! ამ მხრივ მეტად მაჩვენებელია ქართველ სტუდენტთა სათვისტომონი რუსეთის უნივერსიტეტებში: სულ ცოტა ხნით მაინც მივაქცევთ ამ კოლლეგიუმისაკენ მკითხველის ყურადღებას, მით უმეტეს, რომ ჩვენი მოღვაწენი და ერის მესვეურნი ხომ აქედან გამოდიან. ორ ფაქტორთან უხდებათ ბრძოლა სათვისტომოს სულის ჩამდგმელებს ყველგან: მოსკოვში, ხარკოვში, იურიევში, პეტროგრადში... პირველი გახლავთ ის მიმართულება, რომელიც სიტყვა „ეროვნებას“ ისე გაურბოდა, როგორც მეფისტოფელი ჯვარს, ხოლო მეორე... ქართული ენის უცოდინარობა! სათვისტომოს ოქმები ადასტურებენ ამ უმზგავს მოვლენას: გამოდის სტუდენტი სალაპარაკოდ, დაიწყებს ქართულად, რომ 20 წუთის შემდეგ გადახტეს რუსულზე, მერე კიდევ ქართულად და ამნაირად დოხალივით ურევს ორივე ენას და ორივეს უვარგისად. კერძოთ, იურიევში დიდი ბრძოლა სწარმოებდა იმ მიმართულებასთან, რომელიც ცდილობდა ჩვენი სათვისტომო მონათლა „Кавказское землячество“-ს სახელით და მოწინააღმდეგეებს უკიჟინებდა „ზოოლოგიურ ნაციონალობას“... სასიხარულოდ, სძლია ეროვნულ მიმართულებამ: სათვისტომო დღეს მთელი თვისი არსებით ქართულია და სჯა-ბაასიც მასში ქართულად სწარმოებს. სალამი და ღრმა მადლობა იმათ, ვინც ბოლომდის ებრძოდა გადამგვარებლებს და ქართული სული შთაბერა ეროვნულ წრეს!

დაბალ იატაკიან ოთახში ორმოცზე მეტი ვიქნებოდით შეგროვილნი. ვაცილებდით ამხანაგს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის სათვისტომოს აყვავება-აღორძინებაში. მას ქართველი საზოგადოებაც კარგად იცნობს, როგორც კრიტიკოსს და პუბლიცისტს. რაც გამოითქვა იმ საღამოს, სავსებით ახასიათებს აწინდელი ქართველის მიდრეკილებას; აქ—მინიატიურაში—ამოიხატა ქართველი ერის სულის კვეთება; ორმოცდა ათმა ადამიანმა, როგორც ერთმა, აღმოსთქვა გულში ნადები: მუშაობა—მხნე, დაუღალავი და შეუდრეკელი სამშობლოს საკეთილდღეოთ, ყოველივე ჩვენი მისწრაფება ივერიისაკენ და მხოლოდ მისკენ! აგერ, ხმა-აკანკალებული, აღელვებული სტუდენტი, რომელიც მეორე ფაკულტეტს ამთავრებს,—ქაღარა-შერეული იგი ყმაწვილური გატაცებით მოგვიწოდებს სამშობლოსადმი სამსახურს; ცრემლებმორეული აღსარებასავით გვიამბობს, რომ ყოველთვის, როცა მოადგება სათვისტომოს კარებს, ის უნებურად ჩერდება, ქუდს იხდის და მოწიწებით შემოდის ოთახში! რა არის მიზეზი? ქართველი სათვისტომო—ეს ხომ „წმიდა ტაძარია“, სადაც ლაპარაკი, ფიქრი და ოცნებაც კი ეკუთვნის სამშობლოს! ეს ხომ ის ადგილია, საიდგანაც უჩინარი ძაფია გაბმული კავკასიის ქედისაკენ და ეს ძაფი ჩრდილოეთში დახუთულებს სითბოს და სიცოცხლეს გვაწვდის!

ის სულიერი გარდაქმნა, რომელსაც ამ წერილის დასაწყისში აღვნიშნავდი, ცხოველ-მყოფელ ძალად ევლინება და ამოქმედებს ქართველს. ეროვნულ კუთვნილების მუშაკთა ლაშქარი მრავლდება; მას ემატება ახალი ძალები, რომელთა მეოხებით სამშობლოს მიენიჭება ბედნიერი ცხოვრება.

დღევანდელ ომის ცეცხლში და ალში ჩამოყალიბდება ნორმალი ტიპის ქართველი და მაშინ უფრო ერთგულად, უფრო მეტის ხალისით შეუდგებით წინ-სვლას ერის სასარგებლოდ.

„კბილთა ღრჭენა“ მოუვათ, ვინც გვამათ გვთვლიდა და არ სჯეროდა მგოსნის წინასწარმეტყველება: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს!“

რ. ინგილო.

იურიევი.

ხმა განჯიდან

ომის სიმძაფრე და მისი შედეგები აქაურ მცხოვრებლებისათვის ისევე სამძიმოა, როგორც საერთოდ ყველასთვის. აქაც ყველაფრის სიძვირეა და უგზობა—მაშასადამე სურსათის ნაკლებობაც. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია შედარებით ფხიზლად იქცევა და ცდილობს მსხვილ სპეკულიანტებს და წვრილ მოვაჭრეებს შეძლება არ მისცეს ხალხის ექსპლოატაციისა. თითქმის ყველა მაღაზიებში შეხვდებით აქაურ პოლიცმეისტერი ბ. ბურჭულაძის მიერ დადგენილ ნიხრს პირველ საჭიროების საგნებზე, მაგრამ მაინც შაქრის საწყობებს აღმოაჩენენ ხოლმე და შემდეგ წვრილ-წვრილად ჰყიდიან.

აქაურ მცირერიცხოვან ქართველობას აქვს ორი კულტურული დაწესებულება: ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზ. განყოფილება და ქალთა წრე. ამ ორივე ნორჩ საზოგადოებას უსათუოდ მეტი მოქმედება ესაჭიროება, რათა მათმა სიმპატიურმა მიზანმა სასურველი ნაყოფი გამოიღოს, კულტურულად შეაკავშიროს ადგილობრივი ქართველობა მეზობლებთან და ეროვნულ მიზნებსაც ღირსეულად ემსახუროს.

6 მარტს, რკინის გზის სადგურის მხარეს, კერძო შენობაში, ქართველ სცენის მოყვარეებმა ითამაშეს ერთაწმინდელის 3 მოქ. დრამა: „წარსულის ნანგრევებზე“. ამ საღამოს უმთავრესს როლს ასრულებდა ქალ. ხარებაშვილი (სონა). მოხდენილად და გრძნობით თამაშობდა ბ. ახალდაბელი (ალექსანდრეს), ასრულებდა ნაკისრ როლს ბ. ჩლაიძე (ბიძა). კარგი „გიმნაზიელები“ იყვნენ ქ. ნინუა და ბ. შაქრუთელი, დანარჩენებსაც არა უშავდათ-რა, ოღონდ საჭიროა გამოცდილი რეჟისორი, რომ დაამყაროს მუყაით სცენის მოყვარეთა წრე. რუსის სცენის მოყვარეთ ცოცხლად და მხიარულად ითამაშეს 1 მოქ. ვოდევილი „ბიძის ხუმრობა“. კავკასიური და ევროპიული ცეკვა, ფოჩტა, კიოსკები და სხვა. სასურველია, რომ ქართველობა ხშირად იყრიდეს თავს ამ ერთადერთს ჰერ-ქვეშ, სადაც შეძლება აქვს თავისუფლად მოისმინოს მშობლიური ენა.

Hospes.

წერილი სამეგრელოდან

სამწუხარო მოვლენა სოფლად.

მოახლოვდა დრო გლეხის ყანაზედ გამოსვლისა. ახმაურდა ჩვენი პრესაც და ანგარიშს უწევს იმ სამწუხარო გარემოებას, რომ სხვა და სხვა მიზეზების გამო ყანების სივრცე, როგორც ჩვენში ისე მთელს რუსეთში, მეტად შემცირდა ამ ბოლო წლებში. უმთავრესი მიზეზი ამისა უნდა ვეძიოთ, რასაკვირველია, მუშა ხელის შემცირებაში, რადგან მუშათა რიცხვის დიდი უმრავლესობა ბრძოლის ველზეა გაწვეული.

იმედებს ამყარებენ ტყვეთა და ზოგიერთ ჯარის კაცთა გამოყენებაზე, როგორც მწარმოებელი და დამმუშავებელი ძალისა. შეიძლება ეს მართლა მოხდეს რუსეთის შიდა გუბერნიებში, ხოლო ჩვენი განაპირა ქვეყნებისთვის ეს იმედი ამაოა. ჩვენ უნდა ვეცადნეთ ჩვენთვის, თორემ თუ სხვაგან მოვლინებულ მუშას ვუყურეთ, ამოვწყდებით სიმშილით. არა, სხვის იმედი არას გვარგებს! საჭიროა ხელის განძრევა ყველასაგან: მოხუცმა, მცირე წლოვანმა, ბავშმა თუ ქალმა უნდა ყოველი ღონე და მეცადინობა იხმარონ იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტი საყანე ადგილი იქნას დათესილ-დამუშავებული.

დიახ, საჭიროა, მაგრამ ჩვენში, სამეგრელოში გარდა ზემოხსენებულისა კიდევ ერთი ფრიად სამწუხარო მოვლენაა აღსანიშნავი: შარშანდელ მოუსავლობით გამოწვეულმა სიმშილობამ, ცხოვრების უმაგალითო გაძვირებამ და ვითომ და შინაურ საქონელზე ფასის აწევამ შეაცდინა და აიძულა ჩვენი გლეხობა გაეყიდნა—მოეშორებინა თვისი მასაზრდოებელი მუშა საქონელი—ხარები. ხოლო ცხენები-კი გასწმინდა მობილიზაცია-რეკვიზიციებმა. ასე რომ, ასში ორი არ მოიპოვება ჩვენში ისეთი გლეხი, რომელსაც ხარ-კამეჩები ან მუშა ცხენი შერჩენოდეს...

ფული გლეხს არ გააჩნია, გასასყიდი საქონელიც არსად სჩანს.

საიდან და როგორ უნდა ეშველოს ამ გარემოებას,—აი კითხვა, რომლის პასუხი მეტად ძნელია.

ფულის შოვნაში გლეხს ხელი უნდა მოუწყონ წვრილ კრედიტის ამხანაგობებმა, მაგრამ საყიდელი საქონელი რომ არსად მოიპოვება?!

ასეთ სამწუხარო მდგომარეობაშია დღეს ჩვენი სოფელი და, რასაკვირველია, ყანების სივრცე არამც-თუ გაფართოვდება, მეტის-მეტად შემცირდება კიდეც.

კაი.

დაბა-სოფლები

სოფ. არაშენდა (სიღნაღ. მაზრა). ჩვენში ყველაფერი უყურადღებოდ არის მიტოვებული. ომმა მწვავე დაღი დაასვა სოფლებს: მოსტაცა მას საუკეთესო შვილები, მოაცილა თვის კერას; შინ მხოლოდ მოხუცი დედ-მამა და წვრილი ცოლშვილი დარჩა. ოჯახში გასავალი იზრდება და შემოსავალი სრულიად მოისპო. თავის რჩენა გაძვირდა. სარჩენი ბევრი ჰყავს ოჯახს, ხარჯებიც ბევრი აწევს, ხოლო გადამხდელი, ხარჯების დამფარავი, ბრძოლის ველზეა. ოჯახი თავის მონაგარს გასასყიდად გაიტანდა ხოლმე და, თუმცა ომის დაწყებამდე იყიდებოდა სოფლის ჭირნახული, მაგრამ ოჯახი იმდენს დაიმუშავებდა, რომ ასე თუ ისე საჭირო თანხას შეაგროვებდა, როგორც სხვა და სხვა გარდასახადების, აგრეთვე ოჯახის ხარჯების დასაფარავად. ახლა კი თუმცა ბაზარზე სოფლის ჭირნახულის ფასებიც აწეულია, მაგრამ სოფლის უბედურება ის არის, რომ თვით ჭირნახული აღარ არის გასასყიდად, რადგან ოჯახს მუშა ხელი მოაკლდა, ოჯახი ხარჯებს ვერა ფარავს, შიმშილობა თავის დასტრიალებს საწყალ გლეხებს. სიმშილობასთან ერთად აქეთ გავრცელდა სხვა და სხვა ავადმყოფობა: წითელა, სახადი (ტიფი) და სხვა, რაიც მთელს ზამთარს მძვინვარებდა და ბევრი ოჯახიც ააცრემლა. აქეთ თოვლი და კოკისპირული წვიმაც მოვიდა. იქნებ წლეულს მაინც კარგი მოსავალი მოვიდეს და გლეხმა თავი დააღწიოს მოსალოდნელ შიმშილობას.

გიორგი გილგაშვილი.

ნარევი

დედამიწის სითბოს გამოყენება

ერთს ამერიკელ პროფესორს გეგმა შეუდგენია იმისა, თუ რა გზით შეიძლება დედამიწის სითბო კაცმა გამოიყენოს.

ეს ყველამ იცის, რომ რამდენადაც ღრმად ამოსთხრით მიწას, იმდენად მეტ სითბოს შეჰხვდება ადამიანი. ყოველ 25 მეტრზე ერთი გრადუსი სითბო ემატება. პენსილვანიის ქანქანებში ხშირად 100 გრადუს სითბოს შეჰხვდებით, ასე რომ იქ წყალი უნდა ადუღდეს.

პროფესორის გამოკვლევით 3000 მეტრზე დედამიწის გულში წყალი უსათუო ორთქლად უნდა იქცეს. მაშასადამე ამ ორთქლს შეიძლება კაცმა მაშინები აამოძრავოს, აბრუნებინოსო.

ამ ჟამად ამერიკელი პროფესორი ისეთის მანქანის გამოგონებას ფიქრობს, რომელიც დედამიწის სითბოს საშუალებით აბრუნდება და ხალხს სარგებლობას მისცემს.

რასაკვირველია, ეს გეგმა თუ განხორციელდა, სრულიად უფასოდ მივიღებთ მამოძრავებელ ძალას და მანქანის ამუშავება არაფერი დაჯდება.

ყუმბარის უცნაური მფრქვეველი.

კოპენჰაგენის გაზეთებში ზღაპრულ ამბავს გადმოგვცემენ, ვითომც ვოგეზებში გერმანელებმა მოახერხეს ყუმბარის უცნაურ მრფქვეველის დახვრეტა, რომელიც დიდ ზარალს აყენებდა მათ. საღამ-საღამოობითაო, ნათქვამია ერთერთ წერილში, ფრანგთა თხრილებიდან გამოდიოდა ეს უშიშარი მსროლელი, წარმოუდგენელი ნახტომებით ელვის სისწრაფით გაჩნდებოდა ხოლმე გერმანელთა მეშვიდე არმიის თხრილებთან, ყუმბარებს ჩაჰყრიდა მათს თხრილებში და წარმოუდგენელის სისწრაფით და ნახტომებითვე უბრუნდებოდა თავის თხრილებსაო. გარდასწყვიტეს, ეს მსროლელი ცოცხალი ანუ მკვდარი შეეპყროთ. აფარებელი დარაჯნი ფარულად გარს შემოერტყნენ ერთს საღამოს, როცა უცნაურ მსროლელმა ყუმბარების სროლა დაიწყო და ტყვიით სულერთიანად დააცხავეს. როცა მსხვერპლთან მოვიდნენ სანახავად, აღმოჩნდა, რომ მსროლელი თურმე გაწვრთნილი მაიმუნია—შიმპანზე აღმოჩნდა რომელიც სენეგალელ ბატალიონს დაჰყავდათ თან და არა თუ ყუმბარის სროლაში, გაეწაფნათ თვით თოფის ხმარებაშიაც კი.

ჩაუბარებელი დეპეშები

ცხინვალიდან—თორიკაშვილი, კავკავიდან ავალიშვილს, ორგეევიდან—ქავთარაძეს, ქუთაისიდან—ჯიშვარიანს, ბათომიდან—გორელს.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისიდან გადის:

		№	ს. წ.	
ბათომისკენ	სამგ. მ.	9	8.53	სალ.
„	საფ. „	3	9.58	დილ.
ხაშურისკენ	სამგ. „	19-20	3.20	ნაშ.
ბაქოსკენ	ჩქარი „	4	10.20	სალ.
„	ჩქარი „	6	12.8	დღის
„	სამგ. „	8	11.13	ღამ.
ყარს-ერევნ.	საფ. „	4-3	11.13	ღამ.

თბილისში მოდის:

		№	ს. წ.	
ბათომიდან	საფ. მ.	4	9.30	სალ.
„	სამგ. „	10	9.51	დილ.
ბაქოდან	საფ. „	3	9.3	დილ.
„	ჩქარი „	5	7.41	სალ.
„	სამგ. „	7	1.42	ნაშ.
ხაშურიდან	სამგ. „	19-20	7.25	დილ.
ყარს-ერევნ.	საფ. „	4-3	8.8	დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან	8 ს. 58 წ.	დილ.
ნავთლუღი-ამიერ კავ.	9 „ 23	„ „
ნავთლუღი-კახეთისა.	9 „ 43	„ „
ვაზიანიდან	10 „ 42	„ „
იორიდან	11 „ 35	„ „
საგარეჯოდან	12 „ 17	„ „
ბადიაურიდან	1 „ 15	დღის
მელაანიდან	2 „ 37	„ „
გურჯაანიდან	4 „ 08	„ „
ვაჩნაძიანიდან	4 „ 58	„ „
თელავში მიდის	5 „ 35	„ „
გურჯაანიდან	4 „ 18	„ „
კარდენახიდან	4 „ 50	„ „
წნორის-წყალ. მიდის	5 „ 15	„ „

თელავიდან

თელავიდან	8 ს. 58 წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან	9 „ 45	„ „
გურჯაანიდან	10 „ 46	„ „
მელაანიდან	12 „ 02	„ „
ბადიაურიდან	1 „ 13	„ დღის
საგარეჯოდან	2 „ 15	„ „
იორიდან	2 „ 53	„ „
ვაზიანიდან	3 „ 40	„ „
ნავთლუღ-კახეთ.	4 „ 31	„ „
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	4 „ 46	„ „
თბილისში მიდის	5 „ 01	„ „
წნორის-წყლიდან	9 ს. 16 წ.	დილ.
კარდანახიდან	9 „ 46	„ „
გურჯაანში მოდის	10 „ 16	„ „

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე
წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ტბილისში—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. ქუთაისში—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. სამტრედიაში—ვლ. ნაცვალაძესთან. ფოთში—ლუდმილა მეგრელიშვილთან. ბათომში—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში და სამსონ ყაზაიშვილთან უპრავაში. ოზურგეთში დ ლანჩხუთში—ლეო იმნაძესთან. თელავში—ვანო პაპაშვილთან. ახალციხეში—კონსტანტინე გვარამაძესთან. ბაქოში—მარიამ ნაკაშიძესთან. გორში—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. ჭიათურაში—ივ. გომელაურთან. ხონში—მ. ი. ჭავჭანიძესთან. მიხაილოვში—გიორგი ნაკაიძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.

აბრეშუმის თესლი

უკვე შემოზიდულია საფრანგეთიდან და მიღებული თბილისის სააბრეშუმო სადგურში. თესლი ყვითელი აბრეშუმისაა, უკეთესი ხარისხის, უკვე ცნობილი კავკასიაში დ განგებ გამოგზავნილი საქართველოში გასავრცელებლად.

თესლის მოვაჭრეთ ვთხოვ: თბილისში მომმართონ პირდაპირ მე (სასტუმრო ორიანტი) და თბილისის გარე—ჩემს წარმომადგენლებს: ქუთაისში—ნ. ჭელიძეს, აბაშაში—იოსებ გეგენავას და ბათომში—ამბაკო ნადარეიშვილს.

საფრანგეთის მეაბრეშუმეთა წარმომადგენელი, გამოგზავნილი საფრანგეთის მართებლობის მიერ.

(6—122—2) ბადიჵ კოსერი.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძეძველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.